140/2
1949

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

194
№ 7

# პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 7 ივლისი 1949

გამომცემლობა
„კომუნისტი"

წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии


ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი დიმიტროვი
1882—1949

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი დიმიტროვი

2 ივლისს, 9 საათსა და 35 წუთზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სანატორიუმ „ბარვიხაში“, მოსკოვის ახლოს, გარდაიცვალა ბულგარეთის მშრომელთა ბელადი, მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე გიორგი დიმიტროვი. ეს სამწუხარო ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო.

მწვავედ განიცადეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა გ. დიმიტროვის დაკარგვა.

...ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ხალხი კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზისაკენ; აქ მაღალ კვარცხლბეკზე ესვენა კუბო გიორგი დიმიტროვის ცხედრით.

განუწყვეტლივ შემოჰქონდათ დარბაზში გვირგვინები. აი, კუბოსთან დასდეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინი, რომლის ლენტზე ეწერა: „ძვირფას მეგობარს და ამხანაგს გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვს. ი. სტალინი“.

3 ივლისს მოსკოვი გამოეთხოვა გიორგი დიმიტროვს. ცხედარი სამგლოვიარო მატარებლით მოსკოვიდან წაასვენეს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში. ნახევარ მილიონამდე მშრომელი გამოვიდა სოფიის ქუჩებში და მოედნებზე, რათა უკანასკნელად გამოსთხოვებოდნენ? თავისი ძვირფას მასწავლებელი და საყვარელი ბრძენი ბელადი.

გიორგი დიმიტროვის ბალზამირებული ცხედარი ასვენია ქ. სოფიაში 9 სექტემბრის სახელობის მოედანზე, სპეციალურად აშენებულ დროებით მავზოლეუმში, რომლის ადგილას აშენდება მუდმივი მავზოლეუმი. გიორგი დიმიტროვის უკვდავსაყოფად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით დაწესდება გიორგი დიმიტროვის ორდენი, ქ. სოფიაში დაიდგმება გიორგი დიმიტროვის ძეგლი.

რით დაიმსახურა გიორგი დიმიტროვმა ესოდენ დიდი, ნამდვილი საყოველთაო-სახალხო სიყვარული და პატივისცემა?

ეს მან დაიმსახურა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით, მშრომელთა საქმისადმი თავდადებული, დაუღალავი ბრძოლით, თავისი რაინდული რევოლუციური წარსულით.

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი დაიბადა 1882 წელს. იგი 15 წლისა იყო, როცა რევოლუციურ საქმიანობაში ჩაება. 1902 წლიდან გ. დიმიტროვი ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია.

1933 წელს გიორგი დიმიტროვი ფაშისტებმა დააპატიმრეს ბერლინში, სადაც იგი გადახვეწილი იყო როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. მთელ მსოფლიოს ახსოვს გიორგი დიმიტროვის ბრწყინვალე სიტყვა ლაიფციგის პროცესზე, როცა მან ამხილა ფაშისტების საზიზღარი პროვოკაცია რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებასთან დაკავშირებით. გიორგი დიმიტროვის მგზნებარე, მრისხანე სიტყვები სასამართლოში იყო ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ სასტიკი გამოსვლა.

გიორგი დიმიტროვი იყო ფაშიზმის — კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრის წინააღმდეგ დაუდეგარი, შეუპოვარი მებრძოლი. სწორედ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიიღო მან 1945 წელს სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ისტორია წავიდა თავისი კანონზომიერი გზით — დაემხო ფაშიზმი. სწორედ იმავე ფაშისტური რაიხსტაგის თავზე ჩვენი გამარჯვების დროშაააფრიალეს რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ—დიდი სამამულო ომის გმირებმა.

გიორგი დიმიტროვი 1935 წელს აირჩიეს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გენერალურ მდივნად, იგი დაუღალავად ემსახურებოდა მშვიდობიანობის საქმეს.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ გიორგი დიმიტროვი სათავეში ჩაუდგა ბულგარეთის ახალი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას. მისი ბრძნული ხელმძღვანელობით შეიქმნა ბულგარეთში ახალი სახალხო ხელისუფლება ახალი რესპუბლიკური კონსტიტუციით, ჩატარდა აგრარული რეფორმა, სამრეწველო საწარმოთა და ბანკების ნაციონალიზაცია, შემუშავდა ორწლიანი და ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმები, სახელმწიფოს ხელში გადავიდა საგარეო ვაჭრობა, ქვეყნის შიგნით შეიქმნა ფართო სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული სავაჭრო ქსელი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ფართოდ გაიშალა მიწის კოოპერაციული დამუშავება.

ასე დაადგა ბულგარეთი სოციალიზმის მშენებლობის გზას.

აი, რატომ უყვარს ასე ძლიერ ბულგარელ ხალხს თავისი ბრძენი ბელადი და მასწავლებელი გიორგი დიმიტროვი. მას სიკვდილამდე ეჭირა ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტები.

ამხანაგი დიმიტროვი იყო საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოველი პიონერი

წელს მეშვიდე კლასში სწავლობს
ერთი ჩემი მეზობელი,—
მიკვირს, როგორ მოიხვეჭა
სიყვარული ესოდენი!

არა, ვოვკას ვერვინ ეტყვის:
ამაყი ხარ, გულზვიადი...
დასტურ, კარგი მოსწავლეა,
დასტურ, ოქრო ხასიათის.

შარშან ზაფხულს გორს ეწვია
და ბელადის ნახა კერა,
ჯუღაშვილის მშობელ აკვანს
ვერ მოსწყვიტა თვალთა მზერა.

მოსკოველი პიონერი
იქ, დროშისქვეშ, შეხვდა ტოლებს,—
ძმებში ველარ გაარჩევდით,
ერთურთს ისე შეჰხაროდნენ.

და მას მერე, მუდამ, ყველგან
ვოვკა ამას მეუბნება:
მან და რეზო კიკაბიძემ
ვით შეჰფიცეს ერთგულება.

მეუბნება გატაცებით,
მეუბნება და მეც მჯერა:
რომ სოხუმელ მეგობართან
აქვს ხშირხშირი მიმოწერა.

დღეში თუნდაც ასჯერ შემხვდეს,
ასჯერ მკითხავს:— მართლა იცნობთ?
ისე როდი მომეშვება,
დედა რომ არ დამაფიცოს.

ბარათს ძალით წამიკითხავს:
— აი, ნახეთ რეზოს ხელი!
...ასეთი მყავს მე მოსკოვში
ერთი ნორჩი მეზობელი.

**ხუტა ბერულავა**

# სოფლად

მელოდით და მოველ კიდეც,
ჩემო კარგო მეგობრებო.
განა ფეხით, მერცხლის ფრთებით
გადმოვფრინდი საგანგებოდ.
ამ უსაზღვრო ღია ცისქვეშ
ბევრი რამ გვაქვს საოცნებო.

მთებისკენ თუ ველებისკენ
დანამული მიდის გზები,
ჰე, რა ტკბილად შრიალებენ
თავქოჩორა სიმინდები.
სხივმოსილო ყვავილებო,
რა ლამაზად იღიმებით!

თქვენთან, თქვენთან, სექტემბერი
სანამ დარეკს სკოლის ზარებს,
სიმღერებით შემოვივლით
ჩვენს მშობლიურ არემარეს.
დროს შრომაში გავატარებთ,
დროს ხალისით გავატარებთ.

მორთული და მოკაზმული
ყველაფერი გვიხმობს, გვიწვევს,
ხან თუ ველზე ყანასა ვმკით,
ხან ვკითხულობთ ისევ წიგნებს;
სადაც უნდა ვიყვეთ, სწავლას
არასოდეს დავივიწყებთ.

**ვახტანგ გორგანელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




პარმენ ჭლორია

## ნინეზას დღიურიდან*

ნახ. შ. ცხადაძისა

VI

აქ ყოფნის განმავლობაში პირველად მითხრა საყვედური დეიდა დარიკომ:

— ათი წელია, შვილო, პიონერთა ბანაკს ვხელმძღვანელობ, ჩემს ხელში ათასობით ბავშვს გაუვლია, მაგრამ ჩემი ბანაკის დღიურში ერთი უბრალო მარცხიც არ აღნიშნულა. შენ კი კინაღამ სამუდამოდ დამტანჯე. წარმოდგენილი მაქვს რამდენი ადამიანის ტანჯვა უნდა მოჰყოლოდა შენს მიერ მოუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს. მთელი ბანაკი უნდა დამწუხრებულიყო... კიდევ კარგი, რომ ასე გადავრჩით.

დარიკომ საბანი გამისწორა და შუბლზე მაკოცა.

— დღეს იწექი და ხვალ ალბათ ადგომის ნებას მოგცემს ექიმი, — მითხრა ბოლოს მან და წამოდგა.

— დღესაც შემიძლია ადგომა, დეიდა დარიკო, — ვუთხარი მე და წამოვიწიე.

— არა, არა, — წყრომით შემაჩერა მან.— გეყოფა რა შიშიც გვაგრძნობინე. დროა დისციპლინას შეეჩვიო, რეჟიმს დაემორჩილო. ბავშვი დამჯერი უნდა იყოს, უფროსს წინ არ უნდა წაუხტეს, ის მადლიანი ადამიანის შვილი რომ არ შეგხვედროდა, უბედურება დაგვატყდებოდა.

— ვინ არის „ის მადლიანი ადამიანის შვილი“, დეიდა დარიკო? — შევეკითხე მე.

— ვინც შენთვის თავი გასწირა და მდინარეში შეიჭრა, — მიპასუხა მან.

— მერე ვინ არის ის კაცი?

— კაცი კი არა, ბავშვია, შვილო. დაილოცოს მისი მშობელი.

— ბავშვი? ბავშვმა გადამარჩინა?! რომელმა?!

— ჩვენი ბანაკის პიონერია, გურამი, — მომიგო დეიდა დარიკომ.

— გურამი?! — შევძახე მე, მეტად გაკვირვებულმა.

—დიახ, გურამი. კარგი ბავშვია.

— მერე და მან გადამარჩინა?

— სწორედ მან. იმ დროს იქ სხვა არავინ ყოფილა. თურმე როგორც კი შეგატყო მდინარე დაგიმორჩილებდა, მაშინვე გადმომხტარა. ცურვაც კარგი სცოდნია. ნაპირზე რომ გამოგიყვანიხარ, ძახილი მოგვესმა. მივცვივდით. რას ნიშნავს გონიერი ბავშვი — მიწაზე რომ დაეწვინე, მაშინვე გათავდებოდი. წყლიდან ამოყვანილ ადამიანს მიწაზე არ დააწვენენ. სცოდნია მას ეს. ორი საათის განმავლობაში განჯღრევდით. არ გვეგონა თუ სიცოცხლეს დაგიბრუნებდით...

— სად არის ახლა გურამი? — ვკითხე მე.

— თბილისში გავგზავნეთ საექიმოდ. — მიპასუხა დეიდა დარიკომ.

— საექიმოდ?!

— დიახ, შენს მოსაშველებლად, რომ გადმოვარდნილა მდინარეში, მუხლი ქვაზე დაუკრავს და მუხლისთავი გახეთქია. სისხლით იყო შეღებილი, მაგრამ თავისთავზე არ ფიქრობდა. — ამას მიხედეთ, ეს გადაარჩინეთო. ექიმებმა პირველი დახმარება აღმოუჩინეს. შემდეგ საჭირო გახდა თბილისში გაგზავნა. საბრალო ბიჭი, ფეხი რომ დაუზიანდეს, დიდი საწყენი იქნება.

— დეიდა დარიკო! — წამოვიძახე მე. ნუთუ ჩემი მიზეზით უნდა დაიჩაგროს ადამიანი? მერე მე როგორი თვალით შევხედო ადამიანებს? — გული ვერ შევიმაგრე და ავტირდი.

* დასასრული. იხილე № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიდა დარიკოს ხელი არ შეუშლია, არ უთქვამს, ნუ სტირიო, ხოლო როცა გული ვიჯერე და დავმშვიდდი, სიყვარულით შემომხედა და ტკბილად მითხრა:

— კეთილი გოგონა ყოფილხარ, მიხარია, რომ მაგ ლამაზ სახესთან ერთად გულიც ლამაზი და კეთილი გქონია. ნუ იჯავრებ. გურამის დედას წუხელ ტელეფონით ველაპარაკე და მითხრა: გურამი უკეთ არის, მგონია ოპერაცია არ დასჭირდესო.

მე ცოტა დავმშვიდდი.

## VII

დედის გული მისანი ყოფილა. თითქო რადიოთი აცნობესო — დედაჩემი მესამე დღეს, დილით, მოადგა ბანაკის ჭიშკარს.

ბანაკის მოხუც დარაჯს ნება არ მიუცია, რომ ბანაკში შემოსულიყო, სანამ დაფიონი არ იქნებოდა.

დედაჩემს დეიდა დარიკო დაუნახავს და მისთვის მიუმართავს:

— მე ნინეზას დედა ვარო, — უთქვამს სალამის მიცემისთანავე.



— ნინეზას დედა?! — შეკრთა თურმე დეიდა დარიკო. ძლიერ გაკვირვებია, [illegible]ბა აქ მომხდარი ამბავიო.

დეიდა დარიკოს შეკრთომა ალბათ დედაჩემს გადარევდა, რომ ამ დროს დაფიონი არ დაეკრათ. ჩვენ ეზოში გამოვცვივდით, მე დედა შევნიშნე და გაოცებული მისკენ გავეშურე. ყელზე მოვეხვიეთ ერთმანეთს და ორივე ავტირდით. ჩემი საქციელი ჩემთვის გასაგები იყო, მაგრამ დედა რატომ ტიროდა თვითონაც არ იცოდა.

მომხდარი ამბავი დედაჩემმა მალე გაიგო, უამბეს ყველაფერი, მაგრამ არ გაკვირვებია; — ვგრძნობდი, თითქოს ვიცოდი ყველაფერიო, — თქვა მან.

ყველას უკვირდა, როგორ იგრძნო დედის გულმა შვილის უბედურებაო. ზოგიერთებმა თქვეს: ადამიანის ორგანიზმში არის ისეთი რადიოსებური ძალა, რომელიც თავის ამბავს მეორე ადამიანს გადასცემსო.

ვინ იცის. იქნებ მართალია.

დედამ გურამის ამბავი იკითხა და, როცა გაიგო ფეხი დაზიანებია, ძალიან შეწუხდა.

— უთუოდ უნდა ვნახო, — განაცხადა მან. — უნდა ვნახო მისი მშობელი, ბოდიში მოვიხადო და დავეხმარო შვილის ექიმობა-წამლობაში.

დეიდა დარიკომ მოუწონა ეს აზრი. მისამართი მისცა და ურჩია, მეც წამეყვანე.

მე სიხარულისაგან ცრემლები წამსკდა. რატომღაც ამ ბოლო დროს გამიხშირდა ცრემლები. ნაზიკომ მითხრა: ხასიათი შეგეცვალა, გრძნობები გაგისპეტაკდა და ამის ბრალიაო. შეიძლება მართალი იყოს ნაზიკო.

მაშ დედაჩემი მიდის გურამის სანახავად. მეც მივყვები.

## VIII

თბილისში მეორედ ვარ. ახლა უკეთესი მეჩვენება იგი — უფრო დიდი, უფრო ლამაზი და მოხდენილი. ჩემი ბათუმიც ლამაზი ქალაქია, მაგრამ მისი სილამაზე დაფარულია სიმწვანეში. აქ კი საკმარისია რომელიმე სახლის აივანზე გადადგე, რომ მთელი ქალაქის სილამაზე თვალწინ გადაგეშალოს.

გურამის ბინამდე ტაქსით მივედით, მაღლობზე, მთაწმინდისაკენ. მშვენიერი ხედი იშლება აქედან თვალწინ.

ჭიშკარში შევიჭვრიტე, მოხუცი ქალი იჯდა აივანზე და ხელსაქმობდა.

— გურამის დედა იქნება, — გავიფიქრე. შემეშინდა, — ვინ იცის როგორ მიგვიღებს. იქნებ გაგვლანძღოს.

ჭიშკრის ჭრიალზე მოიხედა, სათვალე მოიხსნა და ისე მოგვაჩერდა.

—ელიკო ღვინიაშვილი აქ ცხოვრობს? — შეეკითხა მოხუცს დედაჩემი.

— დიახ, აქ ცხოვრობს. — მოხუცი წამოდგა, — მობრძანდით.

— ელიკოს ნახვა მსურდა, — უთხრა დედაჩემმა.

— მობრძანდით. ელიკო ბაზარშია, მალე მოვა, მე დედა ვარ, შვილო, მისი. მობრძანდით სახლში.

ჩვენ აივანზე ავედით, მოხუცს ხელი ჩამოვართვით და მოვიბოდიშეთ.

— შეგაწუხეთ, — უთხრა დედაჩემმა, — ძალიან გვინდა ვიცოდეთ, როგორ არის გურამი.

მოხუცმა ცნობისმოყვარეობით შეგვათვალიერა.

— არა უშავს. გვეშინოდა ფეხის დაზიანებისა, მაგრამ... ავცდით უბედურებას. მუხლისთავი გახეთქოდა, მაგრამ მოზარდმა სხეულმა ადრე შეიხორცა ჭრილობა.

— დადის? — ვერ მოვითმინე და ვიკითხე მე.

— დადის... ხვალ გამოსწერენ.

—აი, სულ ამის მიზეზით მოუვიდა თქვენს შვილიშვილს ისეთი მარცხი, იმის გადასარჩენად გაუწირავს საბრალო ბავშვს თავი.

მოხუცმა კარგად შემათვალიერა. შემდეგ დედაჩემს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— არა, მასეთი არსებისათვის თავდადება ჭაბუკს არ გაემტყუნება. — კიდევ ამხედდამხედა მოხუცმა.

მე მივხვდი როგორი მნიშვნელობით თქვა მოხუცმა ეს სიტყვები და შემრცხვა. ბავშვობიდანვე ვგრძნობდი უპირატესობას სილამაზით, და ერთ-ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო ჩემი ზედმეტი თავმოყვარეობის და ამაყობისა. რამდენი მეტი შემაქებდა, რამდენი უცნობი თვალი მოიხიბლებოდა ჩემით, იმდენად იზრდებოდა ჩემში სიამაყე. სწავლის წარმატებებშიაც კი ძიშლიდა ხელს ჩემი სილამაზის ეს შეგრძნობა, და მიუხედავად საკმაოდ კარგი ნიჭისა, საშუალოსნობას ვერ ავცდი.

— კარგი მაგას მოუვა, კარგი ეს იყოს, — შემომხედა დედაჩემმა, — მაგისათვის ადამიანმა თავი უნდა გასწიროს?

— რატომ, შვილო? — შეაწყვეტინა სიტყვა მოხუცმა. — ადამიანმა ადამიანისათვის მუდამ უნდა იზრუნოს და იმსახუროს. მეგობრისათვის თავგანწირვა კეთილშობილური საქმეა. განა მოსაწონი იქნებოდა ისეთ დროს ჩემი გურამი იქ მდგარიყო და ამხანაგის გადარჩენაში მონაწილეობა არ მიეღო?

— მაშ, თქვენ იწონებთ გურამის საქციელს?

— ენაცვალოს ბებია. სავაჟკაცო საქმეზე სიკვდილიც სასიხარულოა.

— მადლობელი ვარ, — უთხრა დედაჩემმა მოხუცს. — ჭეშმარიტი ადამიანი ყოფილხართ. თქვენი აღზრდილი შვილი უთუოდ სახელისა და დიდების ღირსი გახდება.

— ვაიმე, შვილო, — ამოიოხრა მოხუცმა. — თვალები რომ არ დამვსებოდა და არ დამღუპოდა, სახელიც კი მოიხვეჭა და დიდებაც. — უნდოდა საუბარი გაეგძელებია, მაგრამ ელიკო შემოვიდა ეზოში და იმისაკენ გაიხედა.

—აი, შვილო, ჩემი რძალიც მოვიდა. ენაცვალოს დედა.

ჩვენ ელიკოსაკენ გავიხედეთ.

ლამაზი ქალი ჩანდა, ემხიანი, მიმზიდველი სახისა და კარგი აგებულობის. შავი კაბა ეცვა, მაგრამ არა სამგლოვიარო. სახეზე ხალვლიანობის კვალი აჩნდა. თვალებიც დასევდიანებოდა. ჩვენ რომ დაგვინახა, გამომეტყველება შეეცვალა. გაკვირვება დაეტყო. ხამალადევი ღიმილი აღებეჭდა სახეზე.

— ჩვენი გურამის მეგობარი გოგონა და დედამისი. — გააცნო მოხუცმა ჩვენი თავი.

ელიკოს სახე გაუბრწყინდა, დედაჩემს ხელი ჩამოართვა, მე გულში ჩამიკრა და ჩამკოცნა.

— კოცნიდეთ კი არა, უნდა სცემდეთ მაგას, — უთხრა დედაჩემმა, — მაგის მიზეზით ცინალამ თავი დაიღუპა თქვენმა ვაჟმა.

— ვენაცვალე იმას, — კმაყოფილებით თქვა ელიკომ. — ასეთ ანგელოზს თუ უშველა და დაეხმარა, იმას რა სჯობს. დაბრძანდით გეთაყვათ, დაბრძანდით.

— მაშ, არ მიწყევლით შვილს? — შეეკითხა დედაჩემი.

— როგორ გეკადრებათ. რას ვემართლები. ან გურამს რაზე უნდა ვუსაყვედურო, მეგობრისათვის თავგანწირვა კეთილშობილური საქმეა ამ ქვეყნად.

— მადლობელი ვარ, თქვენი იმედი მაქვს. თქვენი შვილისა და თქვენს ჩვენდამი სამსახურს შეძლებისდაგვარად ვზღავთ.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, — შეწუხდა ელიკო. — დედისათვის იმაზე ძვირფასი ჯილდო რა იქნება, ვიდრე შვილის ნამოქმედარის გამო მადლობის მიღება. — თქვა მან და დედამთილს შეხედა.

— მართალია, შვილო, — დაემოწმა მოხუცი. — ჩემი დათიკო თითქოს ცოცხალი მყავდეს, მისი საგმირო საქმეების გამო იმდენი მილოცვები და მადლობები მაქვს მიღებული. — მოხუცმა შვილის სურათები, წერილები, მიღებული მადლობისა და მილოცვის დეპეშები გამოიტანა და რიგ-რიგობით დაგვათვალიერებინა.

— ჩემი გურამი ჰგავს, შვილო, მის მამას. —თქვა მოხუცმა, როცა შვილის სურათი დედაჩემს მიაწოდა, — მისებრ კეთილი, მართალი და მეგობრის მოყვარულია.

ქალები დიდხანს ლაპარაკობდნენ. მე გურა-



მის სამუშაო მაგიდა და მისი ბიბლიოთეკა დავათვალიერე. ყველაფერი თავის ადგილას და წესრიგში აქვს: სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ნახაზები, სურათები, ალბომები, აფორიზმებისა და ბრძნული სიტყვების ჩანაწერები, საკუთარი დღიურები და პატარა ლექსების ხელნაწერი კრებული.

მისმა დღიურმა დამაინტერესა. ზოგიერთი ადგილი მეტად მოსაწონი იყო. განსაკუთრებით იმოქმედა ჩემზე სამამულო ომში მამის დაღუპვის ცნობის მიღების დღეს ჩაწერილმა ფურცელმა. გული ამიჩუყდა.

ელიკომ ყურადღება მომაქცია, მოვიდა, ხელი მომხვია და განზე გამიყვანა.

— ნუ გაუმტყუნებ, შვილო, — მითხრა მან. — ძლიერ იმოქმედა მასზე მამის დაღუპვამ. მერე, როგორ დროს, როცა დღე-დღეზე დაბრუნებას ველოდით. პირველ მაისს გამოგზავნილი მისი დეპეშა გვქონდა, ცხრა მაისს ომი დამთავრდა. როგორ ვიფიქრებდით, ოთხი წლის განმავლობაში ომში მყოფი ადამიანი, ისე ორ-სამ დღეში დაიღუპებოდა... წერილს ველოდით, სასიხარულო ამბავს და ცნობას. ეზოში ფოსტალიონის შემოსვლას აღფრთოვანებით ვეგებებოდით, და სწორედ ამ დროს მივიღეთ ცნობა — საშინელი და სამწუხარო. ძნელია, შვილო, იმ წუთების აღწერა. უნდა გენახა მაშინ ჩემი გურამი, — გაშავდა, გალურჯდა, აცახცახდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, დაღუპული ქმარი მეტირნა, თუ შვილისათვის მიმეხედნა. მეორე ვამჯობინე. ქვის გული ჩავიდგი. მწუხარება დავივიწყე და ბავშვს მივვარდი. — რა მოგდის, შვილო-მეთქი, — ვუყვირე, — არა გრცხვენია? მამა ვის არ დაჰკარგვია, მაგრამ იმედი არ გამოლევია... — თუ კი რამე შემეძლო იმ განწყობილებაზე, ვამშვიდებდი. ის კი კარგახანს იდგა გაშეშებული. არ ვიცი, მისძენდა თუ არა. მისი სახე უმოძრაო იყო, თვალები აძომშრალი, მეშინოდა გონება არ დაჰკარგოს-მეთქი. დიდი მწუხარების დროს თუ ადამიანს ცრემლი არ მიეშველა, დაიწვება. მაგრამ, როგორც იქნა შეირხა. „მამავ, საყვარელო მამავ!" შესძახა, მომვარდა და გულში ჩამეკრა.

ამ დროს ორთავესათვის ყველაზე ძვირფასი წამალი ცრემლები იყო, და ჩვენც ბლომად ვღვარეთ ის... მალე მთელი რაიონის პიონერები შეგროვდნენ ჩვენსას. მოვიდნენ მხნედ. მოიტანეს ნუგეში. გვერდით ამოუდგნენ მამით ობოლ ამხანაგს და თანაგრძნობით გაამხნევეს... „კაცი, კაცის წამალიაო" ტყუილად როდია ნათქვამი. იმავე დღეს პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებმა გვინახულეს, თანაგრძნობა გამოგვიცხადეს, დახმარება შეგპირდნენ, გურამი დაასაჩუქრეს და დაამშვიდეს. ბევრ რამეს ნიშნავს, შვილო, თანაგრძნობა და ნუგეში. იმიტომ არის ჩვენი ქვეყანა კარგი, რომ ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის ზრუნავს. იმის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა გურამში. გმირი მამის სახელმა მას ბევრი რამ დაავალა...

როცა ელიკო ამას ლაპარაკობდა, მე თვალები ცრემლებით ამევსო. მცხვენოდა, თორემ ავტირდებოდი.

— რადგან ასე გამახარეთ და მობრძანდით, რადგან ჩემი გურამის ნახვის სურვილი გაქვთ, წამობრძანდით, ახლავე მოვემზადები. — გვითხრა ელიკომ, ტელეფონით ტაქსი გამოიძახა და წასასვლელად მოვემზადეთ.

გურამი ჩემთვის ახლა ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ბავშვი გახდა. მე ის შემიყვარდა ისე, როგორც გმირი, როგორც კეთილი, როგორც ჩვენი პიონერორგანიზაციის საამაყო წევრი.

ნეტავ ყველა პიონერი ჰგავდეს გურამს! ისეთი ბეჯითი, კეთილი, ენერგიული და შრომისმოყვარე იყოს ყველა! ნეტავ შემძლებინა იმგვარი საქმის გაკეთება, იმგვარი სახელის მოხვეჭა!.. ტყუილად მიმაჩნდა თავი ყველაზე უკეთესად, ტყუილად ვიწევდი ცხვირს მაღლა, საამისო კი არაფერი მქონია, თურმე. არ მცოდნია, თუ რით შეუძლია ამაყობდეს პიონერი, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა. გურამის საქციელმა, მისი საქმიანობის გაცნობამ თვალი ამიხილა.

## IX

მანქანა საავადმყოფოს კარებს მიადგა. გამოვედით. საშინლად ვღელავდი. არ ვიცოდი, როგორ შევხვედროდი გურამს — უბრალოდ მივსალმებოდი თუ ხელი ჩამომერთმია, თუ მოვხვევოდი და გადამეკოცნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარები თეთრხალათიანმა ქალმა გაგვიღო და ეზოში შეგვიძღვა. განიერი ეზო ბაღს ჰგავდა. ავადმყოფები გრძელი ხალათებით გამოსულიყვნენ და ჯგუფ-ჯგუფად ხეების ქვეშ ჩრდილში ისვენებდნენ.

— აი, ჩემი გურამიც, — წამოიძახა ელიკომ და ერთი ჯგუფისაკენ გვანიშნა.

გურამი თავის ტოლამხანაგებში ჩამდგარიყო და რაღაცაზე გატაცებით ლაპარაკობდა... ახლოს მისვლამდე არ შევუნიშნივართ. ბოლოს უეცრად გამოიხედა, ელიკო დაინახა და გამოექანა.

— დედა! — შესძახა მან, დედასთან მიირბინა და ყელზე მოეხვია.

— სტუმრები მოგიყვანე, გურამ, — დაბალი ხმით უთხრა ელიკომ და თვალით ჩვენსკენ ანიშნა.

მე დედას მოვეფარე, რომ პირველად არ დავენახე.

გურამმა დედაჩემს შეხედა.

— ბოდიში, — უთხრა მან დედაჩემს და თავი დაუკრა.

— შენს მიერ გადარჩენილი გოგონას დედაა, გურამ, — გააცნო დედაჩემი ელიკომ.

— სასიამოვნოა, — თქვა ბავშვმა. ახლოს მოვიდა და დედის ზურგს მოფარებული რომ დამინახა, შერცხვა, ლოყები აუფერადდა.

დედაჩემმა ხელი მოჰხვია, მკერდზე მიიკრა და დიდხანს ეხვეოდა.

რატომღაც თვალებზე ხელი ავიფარე, იმათ მოვცილდი და უხერხულად განზე დავდექი. როცა დედაჩემმა ხელმოხვეული გურამი ჩემთან მოიყვანა და მითხრა: — ხელი ჩამოართვი, მადლობა გადაუხადე რომ გადაგარჩინაო, — მე ორთავეს ერთად მოვეხვიე. რომელი უფრო ძვირფასი იყო ამ დროს ჩემთვის, ვერ გეტყვით.

— მადლობელი ვარ, შვილო, მადლობელი, შვილი რომ გადამირჩინე. — კვლავ უთხრა დედაჩემმა და შუბლზე აკოცა.

—მე პიონერის მოვალეობა შევასრულე მხოლოდ, — უპასუხა გურამმა და მე შემომხედა.

— რას იტყვი, ყაზბეგი უფრო მაღალია თუ იალბუზი? — მითხრა მან დინჯად.

მე თავი დავხარე.

— როგორ ფიქრობ? — კვლავ შემომხედა მან.



— შენ მართალი ხარ, გურამ. — ვუთხარი მე და შემრცხვა.

— ო, სიმართლე კი ყველაზე მაღალია. — თქვა მან ბრძენის კილოთი და გამიღიმა.

გამოთხოვებისას მე და გურამმა პირობა დავდეთ, მაგალითის მაჩვენებელი ვიყოთ არა მარტო სწავლით, არამედ ამხანაგობით, მეგობრობით და სხვა მრავალი კარგი საქმიანობით.

გურამს არ გაუჭირდება პირობის შესრულება. ის ახლაც სანიმუშო და მაგალითის მაჩვენებელი პიონერია, მაგრამ მე? ჩემში ხომ ჯერ კიდევ აქვს ფესვები გადგმული პიონერისათვის არასაკადრის ჩვევებს!

უნდა დამეხმაროთ: მშობლებმა, მასწავლებლებმა, ამხანაგებმა.

ჩემი ტოლი პიონერები უნდა დამეხმარონ მე.

დამეხმარებით?

დადებითი პასუხის მიღება საეჭვოდ არ მიმაჩნია, და ამიტომ გულის ფანცქალით ველოდები თქვენს რჩევა-დარიგებით სავსე ბარათებს.

№ რაზმეულის პიონერი **ნინეზა.**

# ხალისიანად, შინაარსიანად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთის ფოთლებითა და ნაძვის მწვანე რტოებით დაჩრდილულ სკოლის ეზოში თავი მოუყრიათ მაყვლისფერ წინსაფრიან გოგონებს.

პიონერები და უფროსი კლასის მოსწავლე კომკავშირელები სერიოზული გამომეტყველებით საუბრობენ საგაზაფხულო არდადეგების შესახებ.

წითელი ყელსახვევით მორთული ცქრიალა გოგონები სიხარულით გაიძახიან:

— მე ბაკურიანში მივდივარ.

— მე კი ქვიშხეთში.

— შენ სად მიდიხარ, თინა, საზაფხულოდ? — ჟღურტულებენ პიონერები და მათი საამო ჟრიამული ჰაერში იფანტება.

საზაფხულო არდადეგების გამოცხადების დროს ყველას სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა ტანში. მასწავლებლებს ზრდილობიანად გამოემშვიდობნენ და ჭადრის ხეების მუქი ჩრდილებით დაფარულ ქუჩებში მხიარულად აკისკისდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ პიონერების უმრავლესობა გაიკრიფნენ დედაქალაქიდან და პიონერთა ბანაკებს მიაშურეს. მხოლოდ თბილისში დარჩენილი პიონერები კი შეეცადნენ ხალისიანად გაატარონ საზაფხულო არდადეგები.

ოც ივნისს კიროვის სახელობის რაიონის სკოლების პიონერები ბოტანიკურ ბაღში შეიკრიბნენ. აქ დანიშნული იყო ზაფხულის პერიოდში ქალაქად დარჩენილ პიონერებისაგან შექმნილი რაზმეულის პირველი შეკრება.

ბოტანიკურ ბაღში პიონერები მოეწყვნენ ხაზზე. შეკრების მორიგემ, ქალთა 34-ე სკოლის კომკავშირელმა მე-10 კლასის მოსწავლემ ნათელა ჯაფარიძემ ჩაიბარა პატაკი რაზმების საბჭოების თავმჯდომარეებისაგან. რაზმეულის შეკრების მორიგისაგან კი პატაკი მიიღო კიროვის სახელობის რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგემ ამხ. ხუროძემ.

რაზმეულის შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ პიონერებიც.

ლონარა კინწურაშვილმა თავის პიონერ მეგობრებთან ერთად მეტად მიმზიდველად ილაპარაკა საგაზაფხულო არდადეგების საქმიანად გატარების შესახებ.

ბოტანიკურ ბაღში შეკრებაზე პიონერებმა აირჩიეს რაზმეულის საბჭო 9 პიონერის შემადგენლობით. აგრეთვე მათ შეიმუშავეს რაზმეულის ივლისის თვის სამუშაო გეგმა.

26 ივნისს 50 პიონერის შემადგენლობით მათ მოაწყეს ექსკურსია მთაწმინდაზე. პიონერებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქართველ მწერალთა დიდებული პანთეონი. ისინი დაფიქრებული დიდხანს დასცქეროდნენ დიდი ბელადის დედის კეკე ჯუღაშვილის ძვირფას სამარეს.

მთაწმინდის პანთეონიდან პიონერები ფეხით გაემართნენ ფუნიკულიორის პლატოსაკენ. პლატოზე ასვლის უმალვე პიონერებმა ლამაზი ყვავილების პატარა თაიგულებით მრავალჯერ შემოუარეს გარს დიდი ბელადის ქანდაკებას.

ორჯონიკიძის რაიონის 32-ე სკოლის პიონერებმა ლისის ტბაზე იმოგზაურეს. მათ იქ საინტერესო ჰერბარიუმები შეაგროვეს ბიოლოგიის კუთხისათვის.

ამავე რაიონის ვაჟთა მეშვიდე სკოლის პიონერები ყოველ დილით ატარებენ კიროვის ბაღში დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. ისინი დიდი ხალისით აწარმოებენ შეჯიბრებას ას მეტრზე სირბილში, სიგრძეზე ხტომაში, ყუმბარის ტყორცნაში ნორმების ჩაბარებისათვის: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“.

ლენინის სახელობის რაიონის სკოლების პიონერებისათვის პლეხანოვის კლუბში ჩამოყალიბებულია ბავშვთა განყოფილება. პიონერები მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში ხშირად აწყობენ მხატვრული ნაწარმოებების გარჩევას და მხატვრულ კითხვას.

ამავე რაიონის სკოლების პიონერებმა საგაზაფხულო გამოცდების დამთავრების რამდენიმე დღის შემდეგ მოაწყეს ექსკურსია ბათუმში, რაზმეულის ხელმძღვანელის ჩომახიძის მეთაურობით. პიონერები დიდად ნასიამოვნები დაბრუნდნენ საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხიდან.

საზაფხულო არდადეგების პერიოდში თბილისში დარჩენილი პიონერები ხშირად აწყობენ კოლექტიურად სვლას კინო-თეატრებში.

საღამოობით, როცა მზე მთებს მიეფარება, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე ხშირად ნახავთ კინო-თეატრებისაკენ მიმავალ პიონერების გუნდებს.

პიონერები თავიანთი სუფთა ჩაცმულობითა და ზრდილობით როგორც ქუჩებში შეხვედრისას, ისე კინო-თეატრებში უფროსების გულწრფელ სიყვარულს იმსახურებენ.

ხალისიანად და შინაარსიანად ატარებენ საგაზაფხულო არდადეგებს თბილისში დარჩენილი პიონერები.

**შ. ფორელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




გიორგი კაჭახიძე

# პ ო ე მ ა

გავშალოთ ნორჩ მიჩურინელთა მოძრაობა...

კ. ჩარკვიანი

ამ პოემამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსში, 1949 წელს, მიიღო მესამე პრემია.

I

ტყის ბილიკზე ფიჩხი გატყდა,
ხმა ნიავმა ტყეს მოჰფინა,
ადრეული გაზაფხულით
თამამმა და კმაყოფილმა.
—ჩუ!—ჩურჩულით გადახედა
დას პატარა პანტის ნერგმა.
—მგონი მოდის! ფრთხილად, თორემ—
ტყის ნორჩებთან უყვარს შებმა.
გადააჭდო ტოტი მაყვალს,
მოეკიდა ვითომც რული,
და უმალვე გაინაბა
ეკალ-ბარდში შემალული.

ისევ გატყდა ხმელი ფიჩხი,
ფაჩუნობდა ვილაც ტყეში,—
და გამოჩნდა მალე ბიჭი
ნერგებით და ბარით ხელში.
თვალს ავლებდა არემარეს
მოხიბლული ტყის ბუნებით.
—გოგი მოდის!—აჟივჟივდნენ
სიხარულით ჩიტუნები.

გოგი ფრთხილად მომავალი
მაყვლის ლერწებს განზე სწევდა,
მოდიოდა და გზადაგზა
ის რაღაცას დაეძებდა.
უცებ შედგა, თითქოს თვალწინ
გაუბრწყინდა ნატვრისთვალი,
იქ ენძელა მოეწონა
და პატარა ია მკრთალი;
აქ პანტის ნერგს გაუცინა,
დააცქერდა მოკრძალებით:
—შენ დაგეძებ, აქ ყოფილხარ,
რატომ ასე მემალები?!
მე ხომ შენი მოკეთე ვარ!
წამო ჩემთან... ნუ გაქვს დარდი!—
მოიმარჯვა ხელში წალდი
და გასჩეხა ეკალ-ბარდი.
მიწას დაჰკრა ბარი მარჯვედ,
ჭრილობისგან შეკრთა ფესვი.
—ვაი, მტკივა!—დაიძახა
დაჩრდილულმა ნერგმა კვნესით.
—არ შეშინდე, ნუ კრთი, კარგო,
ძლიერ მინდა მყავდე ახლო!

იქ,ისოფელში, იქ, ჩემს ბაღში
უნდა კარგად დაგასახლო!
აი, შენი მეგობრებიც,
აგერ ვაშლი შენი კბილა...—
თქვა გოგიმ და სიყვარულით
ამოთხარა ნერგი ფრთხილად.
სოფლისაკენ გზას გაუდგა,
ნერგს ეკვროდა ნერგი თრთოლვით...
მარტი იდგა, და ბუჩქებში
ბევრგან მორცხვად ჩანდა თოვლი.

II

წისქვილისკენ გიჟი ღელე
გზას მიჰყვება ვერცხლის ზოლად,—
წისქვილთან კი ორ ბიჭუნას
გაუმართავს ქვების სროლა.
— ასცდა, გოჩა!—ყვირის ერთი,—
ეს მესამედ ააცდინე!—
გოჩამ მწყრალად შეუბღვირა:
—მერე, ბიჭო, რა გაცინებს!—
წამოავლო კვლავ ქვას ხელი,
მოიკრიბა მკლავში ძალა,
ქვა ისროლა და ვერხვს ქერქი
ნაფოტივით მოაცალა.
—აი, ხედავ, რა ძალა მაქვს?!
შენიც ვნახოთ... აბა, სინჯე!—
ამ დროს, ტყიდან მომავალი,
თავს წაადგა გოგი ბიჭებს.



ამხანაგებს გაუღიმა
ჩვეულებრივ, როგორც წინათ;
მაგრამ ვერხვს რომ მოჰკრა თვალი,
უნებლიეთ მოიწყინა.
—ეჰ!—თქვა ჩუმად და ნერგები
შეისწორა წყნარად მხარზე.
—ეს რა მეხი დასცემია
ამ ხეს, სოფლის სილამაზეს?!—
გოჩამ მხრები აიჩეჩა:
—შენ მოგანდეს მისი დაცვა?
აჰ, მოგცლია!—თქვა და გოგის
ერთი ნერგი გამოსტაცა:
—არც ფიჩხია, არც წნელია!—
და მოღუნა მშვილდის მსგავსად...
გოგი ბრაზით წამოწითლდა,
წაეკიდა ცეცხლი ხმასაც.
დაშლილ ნერგებს უშვა ხელი,
არ იკმარა სიტყვით დავა,
წინ დაუდგა გოჩას... მაგრამ
უმალ თავი შეიკავა:
—მე პატივს ვცემ ჩემს ღირსებას—
პიონერის სპეტაკ გრძნობას,
თორემ, გოჩა, განანებდი
მაგ შენს გიჟურ თავხედობას.
წამოჰკრიფა მხნედ ნერგები,—
მიეფარა მალე ღობეს...
იისფერად ეხვეოდა
შელამების ბინდი სოფელს.

III

—ერთი ნერგი, ერთი ნორჩი
სიხარულად შეგვემატა!—
ალტაცებით გადასძახა
გოგის ბაღში ვაშლმა ატამს.
ამ ხმას მსხლებმა მოჰკრეს ყური,
ყური მოჰკრეს ქლიავებმაც:
—სად დასახლდა, მან იხაროს,
დაგვინახეთ, გვეამება.

შაბათი დღე ღამდებოდა,
ბაღში ისევ შუქი იყო.
გოგი ნარგავს შეჰხაროდა
და უსობდა გვერდით ჭიგოს.
კმაყოფილი ჩურჩულებდა:
—რა კარგი ხარ, რა პატარა!
გახალისდი... რაც დამირგავს,
ჯერ არც ერთი არ გამხმარა.
აქაც მიწა დედა არის,
მისი სიღრმე ძუძუდ გქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ მსხლებს ხედავ?! კვირტს დაგამყნობ
და მათსავით გაშლი ტოტებს.
შემდეგ იქვე მან სხვა ნერგებს
მიაყარა მიწა ფრთხილად:
—თქვენ დილამდის მოითმინეთ,
მალე ფრენით მოვა დილაც.

ბაღს სიკეთის მადლად აჩნდა
გოგის ხელი, გოგის ღვაწლი...
—ბიჭო, კიდევ ხე დაგირგავს?!—
შემოესმა უცებ ყმაწვილს.
შემობრუნდა და ეზოსკენ
შემკრთალივით მიიხედა:
ყელმაღალი დოქით ხელში
მოდგომოდა ღობეს დედა.
—ვიცი, ახლა დასამყნობად
კვლავ მოძებნი სადმე კვირტებს;
ალბათ, შვილო, პაპის მსგავსად,
გსურს მებაღე გამოხვიდე!
პაპაშენიც ნერგებისთვის
დადიოდა ამ დროს ტყეში,—
რგავდა ხეებს და ამყნობდა
მარჯვედ შინ და მეზობლებში.

გოგიმ წყნარად ბაღს გახედა,
გაუცინეს მსხლებმა გუნდად,
ჟამა და ახლა მშობელს
ის თამამად მიუბრუნდა:
—აი, დედი, ტკბილად მიტომ
იგონებენ პაპის სახელს...
მისი შრომის, მისი ხელის
მაქებარი ბევრი ვნახე.
ვინ არ იტყვის. ვინ დარგოვო,
რომ შეხედავს მის ნარგავებს,—
და ხეებიც მადლიერნი
პაპის ხსოვნას არ ჰკარგავენ.

ამ დროს ურმით გოგის მამა
ბრუნდებოდა შინ მინდვრიდან,
მხნედ ჭიშკარი შემოაღო
და ეზოში შემოვიდა.
შვილის ნათქვამს ყური მოჰკრა,
მეტი ძალა იგრძნო მხრებში,
ჩაახველა და კმაყოფილს
ჩაეცინა ულვაშებში.

IV

მთებს ხანძარი შემოენთო,
მზე ლაჟვარდში ჯერ არ ჩანდა,
ცის ნათელი თვალს უხელდა
სკოლის გვერდით მაღალ ჭადარს.
გზაზე ნერგებს მიარხევდა
ბიჭი მკვირცხლად მიმავალი,
სკოლის ჭიშკარს რომ მიადგა,
ბაღში ყმაწვილს მოჰკრა თვალი.
გაუკვირდა... გზა განაგრძო,
ჩაიქნია უხმოდ ხელი...
—დამასწარი, გოგი, დღესაც?!
რა მარჯვე ხარ, რა ფხიზელი!—
გოგიმ მოსულს გაუცინა:
—როდის მოჰყევ, ბიჭო, ნიავს?!
ყოჩაღ, შალვა, აღარ ხუმრობ,
ბევრი ნერგი გიშოვნია!
შენც მარჯვე და ფხიზელი ხარ,
არც შენ გიყვარს დილით წოლა!—
დაიხარა და ორმოში
ნერგს ფესვები შეუსწორა.
შალვამ, შრომით მოხიბლულმა,
მიაშველა ხელი ძმურად.
—კარგიაო,—თქვა და ახლა
თავის ნაკვეთს მიაშურა.

მზე კაშკაშა, ფირუზ ცაზე.
ამობრწყინდა დილის იმედად,
მოეფინა სკოლის ეზოს
და სკოლაშიც შეიხედა.
გაუკვირდა, რომ კლასებში
ყუჩად იდგა მერხი ყველა:
—კვირააო,—გაახსენდა
და ამაღლდა ცაში ნელა.

აგერ ჯგუფად მასწავლებელს
მოსწავლენი მოჰყვებიან,—
რა ფხიზელი ბავშვებია,
რა წითელი ლოყები აქვთ!
ბაღს ნერგებით მოეფინენ,
მხნედ ერთმანეთს მისცეს მხარი,
აქ ვაჟებმა, იქ ქალებმა
მარჯვედ დაჰკრეს მიწას ბარი.
ლაღ სიმღერად შეუერთეს
ბარის წკრიალს გრძნობა ლაღი...
მხარს შლიდა და იზრდებოდა
მათი შრომით სკოლის ბაღი.
ნერგებს მწკრივად ასახლებდნენ,
ეცვლებოდა მიწას ფერი,
და დარეჯან მასწავლებელს
ფრთა ესხმოდა მათი ცქერით.
ბუნების და საქმის მცოდნე
ბაღის გეგმით—ბაღის რუკით
ხან აქ იყო, ხან იქ იყო
და შეჰქონდა ყველგან შუქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ფიქრობდა: „თუნდ არ დაცხრეს
მტრის მუქარა, მგლების შფოთვა,
ეს ხალისი მთებს გადადგამს
და ბაღებით მამულს მორთავს!“

მათმა შრომამ მათი ქება
ათქმევინა მრავალ მნახველს,—
შუადღემდე ყველა ნერგი
დაამკვიდრეს, დაასახლეს.
შინ წასვლის წინ დაისვენეს,
ჭადრის ირგვლივ დასხდნენ გუნდად,
ისაუბრეს, ილაღობეს
და თამაში რომ მოუნდათ,—
შარაგზაზე, ღობის ზემოთ,
ჯერ გამოჩნდა გოჩას ქუდი,
შემდეგ ღობეს მკვირცხლად გოჩა
გადმოახტა ხელში ბურთით.
მაგრამ დახეთ! ჭადრის ძირში
დარეჯანიც რომ იხილა,
გაიქცა და სკოლის უკან
მიიმალა იგი ფრთხილად.

V

სდუმდა სკოლის დიდი ეზო,
არსად სჩანდა ერთი ბავშვიც,—
მასწავლებლის ხმა ისმოდა
სიყვარულით ყველგან კლასში.



კაბინეტში დირექტორი
წიგნს ფურცლავდა, მარტო იჯდა,
ხან ღიმილი ერეოდა,
ხან შეჰკრავდა წარბებს დინჯად.
ამ დროს ფრთხილი ნიავივით
შემოაღო კარი ქალმა,
იქვე შედგა და თავმდაბლად
სკოლის უფროსს მიესალმა.
დირექტორმა მიიწვია,
ღიმით სკამიც მიაწოდა,
მოიკითხა... ქალს ეამა
და რა ეთქვა არ იცოდა.

— დედის გულმა მომიყვანა,
ნუ დამძრახავთ!—თქვა მან ბოლოს,—
ჩემი გოგის სიკეთისთვის
შევაწუხებთ ერთხელ მხოლოდ;
ბიჭი მეტად გაიტაცა
ხეების რგვამ, მათმა მოვლამ...
თუ ბეჯითობს ადრინდულად,—
ან ემდურის იქნებ სკოლა!

დირექტორმა ჩაიცინა,
გააკვირვა თქმულმა მეტად:
—მომწონს, შვილის სიკეთისთვის
რომ სიფხიზლეს იჩენს დედა;
მაგრამ გოგი... როგორ გითხრათ,
შეურაცყოფს გოგის ეჭვიც;
ჩვენს სკოლაში ბევრს ვერ ნახავთ
მისებრ მცოდნეს, მისებრ ბეჯითს.
ხე დარგოს და კვლავ დაამყნოს,
სხივი მისცეს ჩვენმა მხარემ,
დაკაცდება და სამშობლოს
მისი საქმე გაახარებს.

თქმულმა ტკბილად აამღერა
მშობლიური გრძნობა წმინდა,
მკრთალი სახე ქალს უეცრად
ვარდისფერად გაუბრწყინდა.
გაუღიმა არემარეს
ბედნიერი დედის გულით,
და სარკმლიდან შუბლს საამოდ
უკოცნიდა გაზაფხული.

VI

ღამით წვიმდა... დილით ღრუბლებს
მირეკავდა მთებში ქარი,—
ქარიც ჩადგა, და სალხენად
შუადღისას დადგა დარი.

გაიმართა ია წელში
და ენძელა თავდახრილი,
კვლავ გაისმა მინდორ-ველში
მუშაკაცის მოძახილი.

ვენახიდან მომავალი
კოლექტივის თავმჯდომარე
მინდვრებისკენ მიიჩქარის
და თვალს ავლებს არემარეს.
ირგვლივ ლაღად დაფენილი
იმერეთის ვაკე მოჩანს...
აგერ ტყესთან ორ ცქვიტ მოზვერს
აჭიდავებს ცელქი გოჩა.
თავმჯდომარეს არ ეამა:
— ბიჭო, უკვე მორჩით საქმეს?! —
გოჩა შეკრთა, უხერხულად
მიიხედა იქით-აქეთ.
ძია მიხვდა, ცელქი ბიჭი
რომ ტოლებთან არ ყოფილა.
— წამო, გოჩა, ცხენს დავეძებ...—
თქვა ნაფიქრით კმაყოფილმა.
უნებლიეთ სახელოთი
მოიქექა გოჩამ ცხვირი,
ზლაზვნით გაჰყვა, თუმცა ყოყმანს
აპირებდა დარცხვენილი.

ძიამ მარცხნივ შეუხვია...
გოჩა შედრკა... ანდა რა ქნას?!
აქვე მისი კლასელები
ხეებს რგავენ ჩაის საფრად.
აი, კიდეც ხედავს ყველას,
აი, ბრწყინავს მზეზე ბარი,—
ტყის ზოლივით გარს ევლება
ჩაის ბუჩქებს ქარსაფარი.
ფიქრობს ბიჭი: „ძია თედომ
ეს რა დარდი ამიშალა!“
— კედელს ჩხირი, გოჩა მოდის! —
დაიძახა ამ დროს შალვამ.
ყმაწვილებმა ჩაიცინეს,
გაიბრწყინა გოგის თვალმაც,
და მოსული ძია თედოც
მათ ღიმილით მიესალმა:
— ყოჩაღ, კარგად გიმარჯვნიათ!
ყოჩაღ, ბევრი ხე დაგირგავთ!
ამხანაგი მოგიყვანეთ,
მიკვირს, გვერდში რომ არ გიდგათ!
— არც ჩვენ ვიცით! — უთხრა გოგიმ, —
იქნებ ზოგავს თავის ძალას!



როგორ მოხდა, აქ რომ მოგყვათ,
ჩვენთვის როგორ მოიცალა!
პიონერთა ხელმძღვანელი
წინ წამოდგა დინჯად ამ დროს:
— ალბათ ხელში ბარის ჭერა
არ სურს ბიჭმა რომ იკადროს!
რა ვქნათ! დღესაც, სწავლის შემდეგ,
რა არ ვცადეთ—არ ვიღონეთ,
მაგრამ, აი, ამ საქმისთვის,
ხედავთ, ველარ ავიყოლეთ!

თედომ გოჩას გადახედა,
აგრძნობინა თვალით წყენა.
გოჩა იდგა თავდახრილი
და ვერ სძრავდა ბოლმით ენას.
რას იზამდა! გრძნობდა შრომა
იქნებოდა მისი მხსნელი,—
გვერდით ბარი დაინახა
და მოჰკიდა ზანტად ხელი.

## VII

დათბა... ლხინობდნენ ფუტკრები,
უნაზდებოდათ ხმა ჩიტებს,
თვალგახელილმა კვირტებმა
ყველგან ყურები აცქვიტეს.
ტირიფმა მწვანე მანდილით
მოხატა ღელის ნაპირი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავზე ყვავილებს აყრიდა
მთა-ბარს ლამაზი აპრილი.

საღამო იყო, ისმოდა
გზაზე ბიჭების ძახილი,
გოგი შინ იჯდა სარკმელთან
გადაშლილ წიგნზე დახრილი.
ხან წერდა წიგნის ნაამბობს
თანმიყოლებით და მშვიდად,
ხან წეროების გუნდივით
რვეულში ციფრებს გაშლიდა.
უცებ შეჩერდა, დაუშვა
ხელი ფანქრისკენ გაწვდილი,
ყური მიუგდო,—მღეროდა
გზადმიმავალი ყმაწვილი:
„მერცხალი უკვე მოფრინდა
სამხრეთში გადაკარგული,
ჰყვავის მიწა და რას უცდის,
ბიჭო, ხე შენი დარგული?!"

გოგის ეწყინა, წამოდგა
სარკმელთან წიგნზე დახრილი,
გარეთ გაიჭრა და ეზოს
თვალი მოავლო დაღლილი.
წყლის დასალევად დაიკოს
ქისკენ მიჰყავდა ბოჩოლა,
ქვევით, შარაზე სიმღერით
ბიჭი გარბოდა ქოჩორა.
—გოჩა ყოფილა! მივუხვდი!—
თქვა გოგიმ გულისტკივილით.



— განა მის თვალში ბინდია
ჩემი ხეების ღიმილი?!
— დამშვიდდი, ყურს ნუ უგდებო, —
მიუალერსა ნიავმა.
გოგიც შეირხა და წყნარად
ბაღს გადახედა... ეამა.
ფიქრობდა: „აი, სიცოცხლე,
გულს რომ ხალისით ამღერებს!"
უკვე გაშლოდა ყვავილი
გოგის ადრინდელ ნამყენებს.
ახალ ნერგს სხივად ეფინა
მათი ღიმილი პირველი...
შვებით აცელქდა ყმაწვილი,
როგორც ოცნების მხილველი.
ფრენა მოუნდა, მოსტაცა
ფიქრი ბოჩოლას ნავარდმა,
ტოლებს გასძახა, და მალე
ჰაერში ბურთი ავარდა.

## VIII

— საჩუქრები, საჩუქრები
თქვენს მზრუნველებს მრავალფერი! —
ჩასჩურჩულებს სიო ხეხილს
სკოლის ბაღში მონაბერი.
ხალისს ჰმატებს ახალ ნერგებს
მწვანე კვირტის გასაფურჩქნად,
მზრუნველივით ფაციფუცობს
ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან.
გადმოევლო ღობეს მკვირცხლად,
დიდი კლასის კარებს აღებს
და ეხვევა აქ შეკრებილ
ყველა მამაც ნორჩ მებაღეს.
აგერ შალვამ, მხრებგაშლილმა,
მიაგება ნიავს ყელი,
ხელს უმშვენებს ფართო წიგნი
და სასხლავი მაკრატელი.
იქ გოგონებს ნათელს ჰფენენ
ღიმილი და საჩუქრები;
ემღერება ყველა მამაცს
პიონერთა ამ შეკრებით.

დიდი კლასის ამ ხალისში
იქნებ გოგიც დაინახოთ!
დააკვირდით, იქ ნათელში
დგას კედელთან სარკმლის ახლო.
ხან საჩუქრებს აკვირდება,
ხან ლაჟვარდის გაშლილ სივრცეს;
მას ალბომი სურათებით
და სამყნობი დანა მისცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხარული ახლა დანას
ხან კეცავს და ხან შლის ნელა,
მაგრამ დანის ცისარტყელამ
გოჩას თვალი დაუბნელა.
რარიგ უნდა გოგისავით
გაებადროს სახე მთვარედ,—
აქ, საქვეყნოდ, საჩუქარი,
აბა, ვის არ გაახარებს!
თანაც ფიქრობს: „ტლანქი არის,
დანას უნდა ჰქონდეს წვერი,
ტარზე ირგვლივ მოვლებული
ზარნიშები ოქროსფერი!
... მაინც, ხედავთ, როგორ ბზინავს
ეს უწვერო, გონჯი დანა?!
ჩემს ხელშიაც დამანახა,
ნეტავ, ჯილდო ამისთანა!
ისე აქეს გოგიც, თითქოს
მას მოერთოს ეს მთა-ბარი!
მოდი ახლა და მცენარის
ნუ იქნები მეგობარი!
არა, საქმემ გამახაროს,
მან მარგუნოს ჯილდო მეტი!“
და ამ ფიქრით გოგის დანას
გადახედა გულდაწყვეტით.
თავისთავზე მწყრალმა შემდეგ
გადაავლო თვალი კრებას;
მზე დარბაზში კაშკაშებდა
მამაცების შესაქებად.

## IX

საღამოა მშვიდი, წყნარი,
მოფუსფუსე სიოც არ ჰქრის,
გოგი ჭიშკრის ბოძს ამაგრებს,
გართულია ბიჭი საქმით.
შემოაწყო ირგვლივ ქვები,
მიაყარა მიწა ბარით...
ამ დროს გზიდან შემოესმა
ხმადაბალი საუბარი.
მიიხედა,—შალვა მოდის,
მოდგომია გოჩა გვერდით.
— გოგი, შენი სტუმრები ვართ,
მეგობარი მომყავს ერთი.
თუ მიგვიღებ, გაგვახარებ,
მაგრამ, მგონი, არ გაქვს მოცლა!—
შეეხუმრა შალვა ძმობილს,
გოჩა განზე გადგა მორცხვად.
გოგიმ ბარი შეაჩერა:
—ცუღლუტობას, მახსოვს, გმობდი!



ამ ბოლო დროს ერთად გხედავთ,
მგონი, მართლაც, დამეგობრდით!
შალვამ ჩუმად ჩაიცინა:
— მერე რაა გასაკვირი!
აბა, მუდამ ხომ არ უნდა
მოგვერიდოს გოჩამ პირი?!
რა ქნას, შენ ვერ შემოგბედა,—
სურს კი ჩვენთან იყოს ახლო...
ჩვენც რა გვეთქმის?!—ახლა, გოგი,
შენი ბაღი უნდა ვნახოთ.
გოგიმ მხრები აიჩეჩა,
საღიმილოდ გახსნა ბაგე,
— რა მეთქმისო,—თქვა და დინჯად
წინ გაუძღვა ამხანაგებს.

გოჩა ბაღით მოიხიბლა,
კრძალვით ერთ ნერგს დააკვირდა.
—ფრთხილად, ბიჭო, მაგ მალხაზთან
შერიგება როგორ გინდა?!
თვითონ ხომ არ შეგაჩერა,
არ გიჯობდა ჩუმად ჩავლა?!—
უთხრა გოგიმ და ჩაუკრა
ეშმაკურად თვალი შალვას.
გოჩას ვერხვი გაახსენდა,
როგორც გულის ტკენის განცდა;
მიხვდა, ეს ის ნერგი იყო,
იქ რომ გოგის გამოსტაცა.
— შევირიგებ,—თქვა დარცხვენით,—
ჯერ ნორჩია, დრო გვაქვს კიდევ,
მიწას შვილად მიუღია,
დაუწყიათ გაშლა კვირტებს.

დაიხარა და ალერსით
ჩასჩურჩულა ნერგს მან ტკბილად:
—ჩემს ბაღშიაც დამენახოს
შენი დები, შენი კბილა!—
გოგიმ იგრძნო გოჩას ხმაში
სასურველი გრძნობა წრფელი,
ეამა და კმაყოფილმა
მხარზე ძმურად დაჰკრა ხელი.

X

რა ხანია მზე ჩავიდა,
გოგი წევს და ფიქრში არის,
სძინავს კიდეც, აღარც სძინავს,—
ეს ცხადია თუ სიზმარი?!

გოგის ბაღში პაპა დადის,
დადის, ტკბება ბაღის ცქერით
და მკერდამდე დაჰფენია
მომხიბვლელი თეთრი წვერი.
თითქოს უნდა დაფაცურდეს
და მოჰკიდოს ხელი საქმეს;
შვილიშვილით კმაყოფილი
შვილიშვილის შრომას აქებს.
გოგი გაშლილ წიგნით ხელში
თვალს ადევნებს მოხუცს რიდით
და წინაპრით მოხიბლული
ბაღისაკენ ჩუმად მიდის.
უხმოდ აღებს ბაღის კარებს,—
მაგრამ პაპის ნახვის მდომი,
იგი უკვე ვაჟკაცია
და ნამდვილი აგრონომი.
მიიხედა, მოიხედა...
დახეთ, პაპა არსად არის,
ბაღიც ისე დიდი არის
დაუფარავს მთა და ბარი.
რა მოვლილი ხეხილია,
რა დაფნები, რა ბუჩქები?
მსხლებს ვაშლების მწკრივი მოსდევს,
ბლებს—ჭაბუკი ალუჩები.
აგერ გოჩა სხლავს ნამყენებს,
ხელში სასხლავს ათამაშებს;
აგერ შალვა კირის ხსნარით
ტანს უთეთრებს მაღალ ვაშლებს
ღელავს გოგი და შეჰხარის
სიყვარულით ცას და მიწას,
სურს რაღაც თქვას, აჩურჩულდა...
და ჩურჩულში გაეღვიძა.

კედლებს შუქი მოჰფენოდა —
დილის ცეცხლი ენთო ცაში,
სარკმელიდან ნორჩ მებაღეს
უღიმოდა გარიჟრაჟი.
გოგი მის ცეცხლს მიაჩერდა,—
იგრძნო დილის სილამაზე,
ტკბილი სიზმრის შუქი მაინც
უბრწყინავდა ყმაწვილს თვალზე.
ბულბულის ხმა შემოესმა,
აუკეცა ყური საბანს,
საწოლიდან წამოიჭრა
და სარკმელთან გაჩნდა სწრაფად.
დღით ძლეული ღამის ბინდი
ეზოს ყოველ კუნჭულს სთმობდა,
და ბულბული, ის ხმატკბილი,
ბაღს სწვეოდა და გალობდა.
გოგიმ ფრინველს ყური უგდო,
აუძგერდა გული მეტად:
ჩიტი გრძნობით უმღეროდა
მის ბაღსა და ნამოქმედარს.

ფრთა შეესხა ლხენით ყმაწვილს,
ფრინველივით გაჩნდა ბაღში,
მიესალმა ბულბულს, ხეხილს
და ხეებმაც დაჰკრეს ტაში.
დილის შუქში ოქროსფერად
ელვარებდა გოგის ოდაც;
სალხენი და სანატრელი
მაისის დღე თენდებოდა.
მომხიბვლელად იზრდებოდა
გარიჟრაჟის ცეცხლის ალი
და მის შუქში მზის თვალივით
ჩანდა გოგის მომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროსმედალოსნები

ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. დერეფანში შემოსული ორი გოგონა მოკრძალებით, მაგრამ ცნობისმოყვარე თვალებით ათვალიერებდა ირგვლივ ყველას და ყოველივეს. იქვე, ინსტიტუტის დერეფანში, კედელზე გაკრული განცხადებების წინ მომცრო ტანის ყმაწვილი იდგა. სამივეს მკერდზე პატარა ნიშანი „საქ. ალკკ" უბრწყინავდა, სამივე ჯერ კიდევ მოსწავლის ფორმაში იყო გამოწყობილი, მაგრამ ისინი საშუალო სკოლის მოსწავლეები აღარ იყვნენ. რამდენიმე დღის წინათ წარმატებით ჩააბარეს უკანასკნელი გამოცდა სიმწიფის ატესტატზე, მოიპოვეს დამოუკიდებელი ცხოვრების საგზური, დაიმსახურეს საბჭოთა მოსწავლის უმაღლესი ჯილდო—ოქროს მედალი.

მტკიცე გადაწყვეტილებით მოვიდნენ ისინი ს. მ. კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. თბილისის ქალთა მე-12 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ლამარა ნადირაშვილმა და მარიამ ბრეგაძემ ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე უნდა განაგრძონ სწავლა, ვაჟთა მე-19 სკოლის სიამაყე ავთანდილ ალიმბარაშვილი კი ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე შედის.

ეს იყო მათი დიდიხნის სანუკვარი ოცნება, და, აი, ახლა ეს ოცნება ფრთებს ისხამს, სინამდვილედ იქცევა! ამიტომაა, რომ ასეთ უსაზღვრო სიხარულს გამოხატავენ მათი შთაგონებული, ჭკვიანი, მეოცნებე თვალები. ამიტომაა, რომ ისინი, თითქმის უცნობნი, ასე უეცრად დამეგობრდნენ, ასე გატაცებით გააბეს საუბარი თავიანთ ლამაზ მომავალზე, კეთილშობილურ მიზნებსა და მისწრაფებებზე.

— მამაჩემი ინჟინერია, დედა კი ქიმიკოსი, — დაიწყო საუბარი ლამარამ, — ჯერ კიდევ სულ პატარა რომ ვიყავი, ვამბობდი ინჟინერი-ქიმიკოსი უნდა გამოვიდე, მეთქი. ამით დედისა და მამის უსაზღვრო სიყვარული მინდოდა გამომეხატა, მსუროდა ორივე გამეხარებინა. მაშინ არცკი ვიცოდი კარგად, რომ ასეთი სპეციალობა არსებობდა. გავიდა წლები, და, აი, ახლა მე ისევ ამ სიტყვებს ვიმეორებ, მაგრამ ახლა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მშობლები გავახარო. არა, მე უსაზღვროდ მიყვარს ქიმია, მიზიდავს რთული და საინტერესო საბჭოთა ტექნიკა.

— ქიმია მეც ძლიერ მიყვარს, — თქვა ავთანდილმა, — მაგრამ ფიზიკა და განსაკუთრებით, ელექტრობა კიდევ უფრო მეტად მაინტერესებს.

ყოველთვის წყნარი, მორიდებული ავთანდილი ისე გაიტაცა საუბარმა, რომ მალე მან გოგონებს მთელი თავისი მოკლე, მაგრამ ლამაზი ბიოგრაფია მოუთხრო.

ავთანდილი მუშის შვილია. მამამისი თბილისის წყალსადენის სადგურის ზეინკალია.



წარჩინებულ გოგონების ჯგუფი თბილისის მე-12 ქალთა საშუალო სკოლიდან, რომლებმაც ოქროს მედალზე დაამთავრეს საშუალო სკოლა. სხედან (მარცხნიდან): **ლ. ნადირაშვილი, ნ. ჭელიძე მ. ბრეგაძე, ლ. თავბერიძე.** დგანან: **ც. ხარაძე, გ. ღლონტი ი. ნაცვლიშვილი** (ვერცხლისმედალოსანი).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭუნა მე-7 კლასის მოსწავლე იყო, საყვარელი დედა რომ გარდაეცვალა. მძიმედ განიცდიდა ამ დანაკლისს, მაგრამ ამ დროიდან კიდევ უფრო ბეჯითად მოჰკიდა სწავლას ხელი. კომკავშირელი გახდა, ამხანაგებმა ჯგუფორგად აირჩიეს. სანიმუშოდ ასრულებდა ყველა დავალებას, თუმცა ოჯახში საგრძნობლად შოემატა საზრუნავი, უფროსი და დილით სამუშაოდ მიდიოდა, საღამოობით უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. ავთანდილი ცდილობდა ხელი შეეწყო მისთვის. გულმოდგინეთ უვლიდა პატარებს, დაჰყავდა ისინი სკოლაში, ამეცადინებდა, ხშირად თვითონ ურეცხავდა, საჭმელს უმზადებდა .ახლა მისი ორი უმცროსი დაიკო იმავე სკოლაში სწავლობს, რომელიც ახალგაცნობილმა მეგობრებმა ლამარა ნადარეიშვილმა და მარიამ ბრეგაძემ დაამთავრეს. თურმე ნუ იტყვით, ავთანდილს თავის სახლში ხშირად რომ უნახავს პატარა დის მეგობარი, წითელყელსახვევიანი ხუთოსანი ზაირა, ლამარას და ყოფილა! ამ პატარა ამბავმა კიდევ უფრო გულშიჩამწვდომი, მეგობრული იერი მისცა საუბარს.

...უკვე ინსტიტუტის ყოველი კუთხე შემოიარეს, უფროსკურსელებმა კომკავშირის კომიტეტში შეიპატიჟეს, ბევრი რამ უამბეს ინსტიტუტის შესახებ, საყვარელ პროფესორ-მასწავლებლებზე, სასწავლებელში გაშლილ ფართო და მრავალმხრივ საქმიანობაზე.

...შემთხვევით შეხვედრილნი ერთი ინსტიტუტის მომავალი სტუდენტები ერთად ბრუნდებოდნენ შინისაკენ. უსაზღვრო ბედნიერების ღიმილი კრთოდა მათს სიცოცხლით სავსე სახეებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მზემ ოქროსფერი სხივები რომ აკრიფა და ცას ოდნავ მუქი ფერი დაედო, წკრიალა ხმებმა აახმიანეს მწვანეში ჩაფლული თვალწარმტაცი ბაღნარი. სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილ ზეიმზე შეიკრიბნენ აქ საქართველოს დედაქალაქის წარჩინებული მოსწავლეები. ვინ მოსთვლის რამდენი ასეული წყვილი თვალი ციმციმებდა სიხარულით, რამდენი გულწრფელი მოლოცვის სიტყვა გაისმოდა!

და აი მოსწავლეთა ზეიმზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ლამარა, მარიამი და ავთანდილი, მაგრამ ახლა ისინი მარტო აღარ იყვნენ, მათ მეგობრები ახლდათ თან. გოგონებისა და ვაჟების ორი ჯგუფი შეხვდა ერთმანეთს და ისევ იმავე თემაზე დაიწყო საუბარი, რომელიც ახლა ყველაზე უფრო მეტად აღელვებდათ კურსდამთავრებულებს. ეს საუბარი მათს მომავალ სპეციალობას შეეხებოდა. ისინი თავიანთ არჩეულ დარგებზე გააგრძელებენ სწავლას.

გაივლის წლები... ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა უბნებზე, მათთვის ჩვეული ხალისითა და გატაცებით მოჰკიდებენ საქმეს ხელს ახალგაზრდა სპეციალისტები. სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ყველგან ასახელებენ მშობლიურ სკოლას, ამაგდარ აღმზრდელებს.

**ი. მესხიშვილი**



★

წარჩინებული ვაჟების ჯგუფი თბილისის მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლიდან, რომლებმაც ოქროს მედალზე დაამთავრეს საშუალო სკოლა. პირველ რიგში (მარცხნიდან): **დ. ტატიშვილი, ი. მიწიშვილი, ა. ალიმბარაშვილი, ა. გოძიაშვილი.** მეორე რიგში: **რ. გურგენიძე, დ. დოლიძე.**

★

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**პ. მორსკოი** — მოთხრობა — ნახ. ვ. ბელეცკაიასი

ახლოვდებოდა მეზღვაურთა დიდი საზეიმო დღესასწაული — სამხედრო საზღვაო ფლოტის დღე.

მე, ძველი მეზღვაური, ზღვისაგან დაშორებული წარბშეჭმუხნით ვიჯექი თბილისის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს მყუდრო სასადილოში. ამ საწარმოში ვმუშაობდი იმჟამად. ყურადღებას არ ვაქცევდი რა მორთმეულ სადილს, ვცდილობდი თავი გამერთვა მოგონებებისათვის. სასადილოს კარი ყოველ წუთს ილებოდა. უცბათ დავინახე ის, რამაც აიძულა შეშფოთებულიყო ჩემი ძველი, მეზღვაური გული. შენობაში შემოვიდნენ ქარხნის ხელმძღვანელები, რომლებსაც შემოჰყვა ორი საზღვაო ოფიცერი, იშვიათი სტუმრები ჩვენს მხარეში.

მათ ცალკე მაგიდა დაიკავეს და განაგრძეს მეგობრული საუბარი. დაუძლეველი სურვილი მქონდა ვყოფილიყავი მათთან ერთად, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა ჩემს სიმარტოვეს. მხოლოდ ქარხკომის თავმჯდომარემ, რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა, შემნიშნა და რაღაც ჩაუჩურჩულა მეზღვაურებს.

ერთ-ერთმა ოფიცერმა დაჟინებით დამიწყო ცქერა და მომეჩვენა, რომ მის ახალგაზრდულ სახეზე განცვიფრება აღიბეჭდა. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ იგი ადგა და მტკიცედ მოვიდა ჩემთან. მომესალმა.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენმა ამხანაგმა მითხრა, რომ თქვენ ყოფილი მეზღვაური ხართ. — მითხრა ოფიცერმა. — თქვენ საკონონერო ხომალდ „ბეზსტრაშნიეზე“ ბოცმანად ხომ არა მსახურობდით? — შემეკითხა იგი.

გამიკვირდა, საიდან შეეძლო ასე დაწვრილებით სცოდნოდა ჩემი სამსახურის შესახებ ახალგაზრდა ოფიცერს.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — სამოქალაქო ომის დროს ამ ხომალდზე ბოცმანი ვიყავი.

— არ მიცნობთ, ამხანაგო ბოცმანო? — მეგობრული ტონით მკითხა ოფიცერმა.

— არა, მაპატიეთ, ვერ გცნობთ. — თანამოსაუბრემ კიდევ ერთი კითხვა მომცა:

— თქვენ ხომ ვერ მოიგონებთ, თუ ვინ იყო თქვენს ხომალდზე ყველაზე ახალგაზრდა?

— მაგონდება, — ვეუბნები, — გვყავდა ჩვენ იუნგა — შეგირდი, ანუ აღსაზრდელი კოლია ვასილიევი, ონავარი... შემდეგ მას მთელი ისტორია გადახდა თავს.

— ნუთუ ახლაც ვერ იცანით, ამხანაგო ბოცმანო, თქვენი კოლია? ჩვენ ხომ ერთად ვცურავდით. დაგავიწყდათ? — გულთბილი, მოსიყვარულე ხმით ამბობდა მეზღვაური.

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— კოლია?! შენ?! თქვენ?! როგორ მოხდა ეს?! — ვბუტბუტებდი სიხარულისაგან აღელვებული.

— სწორედ კოლია ვარ, ანცი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა არავის, ამხანაგო ბოცმანო, ძია პეტრე!—ამბობდა მეზღვაური, თანაც მაგრად მეხვეოდა.

შორეული წარსულის სურათები მომაგონდა.

ნათლად ვხედავდი გემბანს ჯავშნიანი, შორსმსროლელი ქვემეხებით შეიარაღებული საკონონერო ხომალდისა, რომელიც ამაყად მისცურავდა მდინარე ვოლგაზე.

ასევე ნათლად ვხედავდი გემბანზე მედიდურად, მოწყენილი სახით მოსიარულე მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილ ცამეტი წლის ბიჭუკელას, იგი ისე დადიოდა, როგორც ძველი ზღვის „მგელი“, რომელსაც გადაუსერავს ყველა ოკეანე და ზღვა და

ლაპარაკისას წარამარა ისროდა სიტყვებს: „ჩვენთან ფლოტში“, „ჩვენ მეზღვაურები“...

იგი მოვიდა დაგლეჯილ-დაფლეთილი, წვირიანი, მშიერი და ყველასათვის შეუმჩნევლად გემზე მოიკალათა. შტაბში შეამოწმეს მისი საბუთები და გამოირკვა, რომ კოლია ვასილიევის მშობლები თეთრგვარდიელებს მოეკლათ. გაფორმდა რა იუნგად, ჩვენი ახალი აღსაზრდელი ხომალდის კოლექტივში შემოვიდა, როგორც სრულუფლებიანი წევრი.

ჯერ კოლია ვასილიევი მოკრძალებული, დამჯერი ბავშვი იყო. სწრაფად და ზუსტად ასრულებდა დავალებებს. კარგად შეეთვისა ხომალდზე ცხოვრებას და მის გარშემო მყოფ ადამიანებს. ჩვენ ყველანი გადატვირთული ვიყავით სამხედრო პოლიტიკური მუშაობით და ვერავინ შენიშნა, თუ როგორ გამოიცვალა იგი: დავალებებს მოუნდომებლად ასრულებდა, სიტყვას უბრუნებდა უფროსებს, ზარმაცობდა, ანცობდა ყოველ ნაბიჯზე. არ ყოფილა დღე, რომ რაიმე დანაშაული არ ჩაედინოს.

ერთხელ ვოლგაზე, ფრონტისპირა ზოლთან, კოლია ხომალდიდან ნავით დაეშვა წყალზე, და წყლის დინებამ იგი მტრის განლაგებისაკენ წაიღო. ძლივს გადაარჩინეს ვაი-მეზღვაური.

შეშინებული იუნგა თავს იმართლებდა, რომ „ნავი თვითონ ჩაეშვა წყალშიო“. მეორეჯერ ვიღაცის რევოლვერით სროლა აუტეხა მდინარის მეთოლიებს.

კოლკას სასტიკი დასჯით დაემუქრნენ, მაგრამ ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მეორე დღეს უარესი ჩაიდინა: ამ დღეს კოლია, მორიგეობდა რა სამზარეულოში, ჩვეულებისამებრ ონავრობდა და მზარეულის იქ არყოფნის დროს საჭმლის ქვაბში ჩაუვარდა მარილით სავსე საკმაოდ დიდი პაკეტი. მზარეული მოზერი ილანძღებოდა და განმეორებით აკეთებდა სადილს. დაღლილმა მეზღვაურებმა სამი საათის დაგვიანებით ისადილეს.



ამავე დღეს კომანდორ პერიოზკინს დაეკარგა საათი — ქრონომეტრი, რომელიც აუცილებელია საარტილერიო სროლის დროს.

მაშინ ხომალდის უფროსმა დაჰკარგა ჩვეული სიმშვიდე, ხელი დაჰკრა მაგიდას და წამოიძახა:

— საკმარისია! გვეყოფა! ესღა გვაკლდა, რომ ამ საძაგელმა მეზღვაურების ზანდუკებშიც უფათუროს ხელი. კარგი იქნებოდა ტრიბუნალისათვის გადაგვეცა იგი, მაგრამ არ შეიძლება — მცირეწლოვანია. გადავგზავნოთ ბავშვთა სახლში... ხელს გვიშლის მუშაობაში... — მრისხანედ დაახმოლვა მეთაურმა.

როცა იუნგას მეთაურის გადაწყვეტილება გამოუცხადეს, ჯერ არ დაიჯერა, შემდეგ კი გაფითრდა, ხელები ზურგსუკან დაიწყო, მკერდი წინ გამოსწია და გამომწვევი ხმით დაიყვირა:

— არსად არ წავალ გემიდან, გააკეთეთ რაც გსურთ...

— როგორ თუ არ წახვალ? გაიძულებენ! მეთაურის ბრძანება — კანონია, არ იცი? — — აღელვებით ეუბნებოდა მას კომენდორი ბერიოზკინი.

— ვიცი, კანონია, მაგრამ გემიდან არ წავალ, თუ გინდ წყალში გადამაგდეთ. მტკიცედ განაცხადა იუნგამ და ყველას მოწკურული თვალებით შესცქეროდა.

— კარგადაც წახვალ! საზღვაო ფორმას გაიხდი, ჩაიცვამ, რითაც მოდი, გაივლი გემბანს, ჩაჯდები ნავში და ჰერი-ჰააა, საბავშვო სახლისაკენ. — უსურათებდა იუნგას მის წასვლას მზარეული მოზერი. ჩვენ კი ავწევთ ღუზას, საყვირი დაიგუგუნებს გუგუუუ! ხოლო ჩვენი იუნგა ვასილიევი კი ნაპირზე გუგუუუ!..

ბიჭუკელა სდუმდა. მთელი ძალით ცდილობდა არ ატირებულიყო.

— აბა, გაიხადე ფორმა, გეყოფა, რაც იფართიფურთე! — განაგრძობდა მზარეული მოზერი. — ვერ შესძელი გეტარებინა—გაიხადე. — მზარეული მიუბრუნდა ვიღაცას და დაუძახა:

— აბა, მოიტათ კოლკას ძველმანი.

იუნგამ მუშტები მოიმარჯვა, უკან დაიხია, თითქოს ვინმეს თავს უნდა დაესხასო.

— სცადეთ წაიღოთ! არ მოგცემთ! ეს ჩემია! არ მომეკაროთ, თორემ!

ბავშვს სიტყვები ყელში გაეჩარა, გემბანზე დაეცა, გორავდა, ზმუოდა, თავში ხელს ირტყამდა...

— არავის არ მივცემ! არა! ვაი! დასახვრეტად წავალ, ფორმას კი არავის მივცემ! არა! — ყვიროდა იგი ისტერიკული ხმით.

მივიჭერი იუნგასთან, მაგრამ ფერშალმა აკიმოვმა დამასწრო. მან ფრთხილად მოჰკიდა კოლიას ხელი, მაგრამ ბავშვი ხელსა და ფეხს იქნევდა...

— არავის მივცემ ფართოტოტებიან შარვალს, ქუდს, ლურჯსაყელოიან ხალათს. მომკალით — არ მივცემ!

— დაიმალეთ! — ბრძანების ტონით მიმართა ფერშალმა იქ მყოფთ. — ხომ ხედავთ ბავშვს ნერვები აქვს აშლილი. ბოცმანო, წამოიყვანეთ ავადმყოფი.

კაპიტანმა აკიმოვმა დააწყნარა იუნგა, მე კი, მძიმე გრძნობით შეპყრობილმა, მეთაურისაკენ გავსწიე.

დიდხანს ვეხვეწე, ვემუდარე დაეტოვებინა ბავშვი ხომალდზე. იგი არ თანხმდებოდა. მხოლოდ კომისარმა შესძლო მისი დათანხმება. ბავშვის გამოსწორება მე ვიკისრე, მაგრამ შემდეგ დიდად მაეჭვებდა.

ბავშვი მდუმარედ იწვა. სევდიანი თვალები მომაპყრო და წაიდუდუნა:

— ამხანაგო ბოცმანო, რა არის ეს? ნუთუ ხომალდი უნდა დავსტოვო?

ვდუმდი და ახალ შეკითხვებს ველოდი.

— ძია! — უცბათ გამოცოცხლებით წარმოსთქვა იუნგამ, — ნუთუ ყველაზე უკანასკნელი და ყველაზე მავნე ადამიანი ვარ? თუ ეს ასეა, თანახმა ვარ გამასამართლონ, მომისაჯონ რაც სურთ, მოვიხდი სასჯელს და კვლავ გემზე დავბრუნდები, როგორც პატიოსანი ადამიანი. დეე, ყველამ დაინახოს, რომ არა ვარ ისეთი, როგორიც აქამდე ვიყავი! ყველაფერი შემიძლია. არ გჯერათ? მცემეთ, შვიდკეცი ტყავი გამხადეთ. თანახმა ვარ, მხოლოდ გემიდან ნუ გამიშვებთ.

— ცემით არ გცემ, მაგრამ მოვითხოვ: მომეცი მეზღვაურის პატიოსანი სიტყვა, რომ გამოსწორდები. — ვუთხარი მე.

— გამოვსწორდები! — წყნარად თქვა ბავშვმა. — გათავებულია — ცუდს არაფერს გავაკეთებ. მოელაპარაკეთ ხომალდის უფროსს.

— მე უკვე ველაპარაკე მეთაურს, — და ვუამბე, როგორ დამეხმარა მის გადარჩენაში კომისარი.

იუნგა სუნთქვაშეკრული, ფართოდ გახელილი თვალებით შემომცქეროდა.

— გმადლობთ! არასდროს არ შეგარცხვენთ. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მიბრძანებენ, სპეციალობასაც შევისწ[illegible] ღვაურის პატიოსან სიტყვას გაძლ[illegible] კი — მეზღვაურებს შეგვიძლია სიტყვის შესრულება. მეზღვაურის სიტყვა ლუზაზე უფრო მტკიცეა, მას ვერ მოსდრეკ, ვერ გასტეხ, ადგილიდან ვერ დასძრავ. ჩვენთან ასეა ფლოტში!... — დაამთავრა მან საზეიმო ფიცი.

— თამბაქოს წევასაც დავანებებ თავს. არ გჯერათ? — ჯიბიდან პატარა პორტსიგარი ამოიღო და წყალში გადააგდო. — თქვენ კი, ძია პეტრე, არასდროს არ დაგივიწყებთ. მუდამ კმაყოფილი იქნებით ჩემით. — და იგი, როგორც შვილი, მომეკრა მკერდზე.

პატარა მეზღვაურმა მტკიცედ შეასრულა მოცემული სიტყვა უცბათ გამოიცვალა. სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ კომენდორმა ბერიოზკინმა იპოვა საათი — ზარბაზანთან დარჩენოდა. მეზღვაურები კვლავ სიყვარულით ექცეოდნენ აღსაზრდელს.

მესიგნალე თოფურიამ კოლია თავის მოწაფედ აიყვანა. გამოირკვა რომ იუნგა დიდი ხანია ოცნებობდა მდგარიყო ხომალდის მაღალ ხიდზე და მთელი ესკადრის წინაშე ექნია ალმები.

კომისარი მას სხვადასხვა საგანს ასწავლიდა, მეც ვეხმარებოდი, რითაც შემეძლო.

ჩვენ კოლიასთან ერთად ვიბრძოდით დენიკინის წინააღმდეგ, ვიყავით დაზვერვაში, ერთად გამოვიზამთრეთ ვოლგისპირა ერთ-ერთ ნავსადგურში, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ვასილიევზე რაიმე ცუდი ეთქვას: პირქუში მეთაური პანოვიც კი ღიმილით ამბობდა იუნგაზე:

— მგონი, ნამდვილი მეზღვაური ყალიბდება...

გაზაფხულზე მე შავი ზღვის ფლოტში წავედი, ხოლო ვასილიევი ბალტიისაში.



— იქაც არ შეგარცხვენთ. — თქვა მან წასვლისას. — მეზღვაურის სიტყვა მტკიცეა, როგორც ლუზა.

ამის შემდეგ ჩვენ ერთმანეთი დავკარგეთ.

და მრავალი წლის შემდეგ ასე შევხვდით ერთმანეთს თბილისში. ამ დღეს ჩვენ დიდხანს, გულითადად ვსაუბრობდით წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

მან მოკლედ მიამბო შემდეგი:

— ბალტიის ფლოტში ჩასვლისას სასწავლებელში მიმაბარეს. დიდ მონდომებას ვიჩენდი, წარმატებით ვსწავლობდი, პირველი ვიყავი კლასში. საზღვაო სასწავლებელშიც ასევე მივდიოდი წინ და სპეციალურ კლასებში პირველობას არავის ვუთმობდი, ამჟამად ნაღმოსნის მეთაური ვარ. ამბობენ, რომ მომავალ წელს ლიდერის უფროსად დამნიშნავენ.

ხშირად, როგორც მშობლიურ მამას გიგონებდით, პეტრე ნიკოლოზის-ძევ! უკანასკნელ დროს გულის წუხილით ვფიქრობდი, რომ ვერასდროს ვერ განახავდით. აი, ახლა [illegible] უყურეთ, როგორ მოულოდნელად შევხვდით ერთმანეთს. თქვენი საწარმო ჩვენი ნაღმოსნის შეფია. ახლა თქვენ გვესტუმრეთ. შეგხვდებით როგორც... ადმირალებს.

ჩვენ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით. აღელვებულმა პაპიროსი ამოვიღე და მასაც მივაწოდე.

— გმადლობთ, არ ვეწევი. — უარი თქვა ღიმილით ვასილიევმა.

— დიდი ხანია?

— იმ დღიდან, რაც პორტსიგარი წყალში გადავაგდე.

ვასილიევი მერე აღარ მინახავს. მწერს მოკლე, მაგრამ გულთბილ წერილებს. სამამულო ომში მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და მამაცმა მეთაურმა, დაიმსახურა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ამჟამად მას საზღვაო ფლოტში დიდი თანამდებობა აქვს.

ქართულად გადმოაკეთა **ლ. ხომერიკმა**

# ვეშაპთა მკვლელები

ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია დედამიწის ზურგზე. მისი სიგრძე აღწევს 30, ზოგჯერ 33 მეტრს და იწონის ასორმოცდაათ ტონაზე მეტს, იმდენს, რამდენსაც იწონის 30 მოზრდილი სპილო ერთად. ვეშაპებს კბილი არა აქვთ. ეს ბუმბერაზი ცხოველები იკვებებიან ყველაზე წვრილი ცხოველებით: ზღვის მატლებით, სელაპებით, კიბოებით. ვეშაპები მილიონობით ყლაპავენ მათ. დააღებს ვეშაპი უზარმაზარ ხახას, რომელშიაც შეიძლება ჩაეტიოს მთელი ნავი მენიჩბეებით, და მიჰქრის



წყალში. წყალთან ერთად ხახაში, როგორც ლია ჭიშკარში, ექცევა უამრავი ზღვის წვრილი ცხოველი. როცა ვეშაპი იგრძნობს, რომ პირში ბევრი ნადავლი დაუგროვდა, იგი ჰხურავს ხახას. კბილების მაგივრად ზემო ყბიდან, სქლად, როგორც ჯაგრისი, ჩამოკიდებული აქვს რქისებრივი ფირფიტები — ეგრეთწოდებული „ვეშაპის ულვაშები“, რომლის საშუალებით იგი გამოსწურავს თავის ნადავლს. წყალს კი გამოუშვებს, ხოლო ყველაფერს, რაც კი პირში რჩება შესანსლავს.

არის კბილებიანი ვეშაპიც — ესაა დელფინი (ზღვის ღორი).იგი შავ ზღვაში ცხოვრობს. ყველაზე მსხვილი დელფინები კი ცხოვრობენ ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების ჩრდილოეთ ნაწილში და ყინულოვან ოკეანეში. ისინი ნამდვილი ზღვის ყაჩაღები არიან: სცურავენ ძლიერ სწრაფად, მისდევენ თევზებს და ხშირად უკბილო ვეშაპებსაც კი ესხმიან თავს. როგორც ოკეანის დელფინები ვეშაპს შეამჩნევენ, გარს შემოერტყმიან. იშვიათად თუ დააღწევს თავს ვეშაპი ასეთ მტრებს. ამიტომაც შეარქვეს დელფინებს „ვეშაპთა მკვლელები“.

# სილამაზისა და მხნეობის დემონსტრაცია

## მოსწავლეთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადა

ეს იყო 2 ივლისს.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონი საზეიმოდ იყო მორთული, ფრიალებდა სპორტულ საზოგადოებათა ნაირფერი დროშები, იარუსებზე გაკრული იყო სპარტაკიადის მონაწილეებისადმი მისალმების ლოზუნგები.

საღამოს ექვს საათზე გაისმა მარშის ჰანგები. სტადიონის საპარადო თაღის ქვეშ გამოჩნდა მოსწავლე სპორტსმენთა თვალუწვდენი კოლონა, რომელსაც წინ მიუძღოდა ხუთოსანთა ჯგუფი. სსრ კავშირის ჩემპიონის — თბილისის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანს ვ. გვანცელაძეს მოჰქონდა დროშა, რომელიც თბილისელებმა მოსწავლეთა გასული წლის სპარტაკიადაზე მოიპოვეს. კაპიტანს გვერდს უმშვენებდნენ: სსრ კავშირის რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი ნ. ხნიკინა, მოწინავე სპორტსმენები მ. ქოჩლაძე, მ. გეგეშიძე, რ. ფანცხავა, ა. ლელუაშვილი, ზ. თავართქილაძე, გ. ბექანიშვილი. შემდეგ მოდიოდნენ თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ტანმოვარჯიშენი, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისის, ჭიათურის და სხვა რაიონების სპორტული დელეგაციები. ისინი მოდიოდნენ მხნედ, ამაყად. მათ წარმატებით დაამთავრეს სწავლა, ასახელეს მშობლები, მასწავლებლები, მშობლიური სკოლა და მოვიდნენ აქ, რათა დაძაბულ სპორტულ ბრძოლებში გამარჯვება მოუპოვონ საყვარელ სკოლას, დაიცვან თავიანთი რაიონის, ქალაქის მოსწავლეთა სპორტული პრესტიჟი.

...საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ვ. კუპრაძემ მიიღო პატაკი პარადის ხელმძღვანელისაგან. შემდეგ მიესალმა სპარტაკიადის მონაწილეებს, მიკროფონთან წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა და საქართველოს მოსწავლეთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადა გახსნილად გამოაცხადა. აქ იყვნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ზოდელავა, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ფარულავა.

მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მერკვილაძე მწყობრიდან იძახებს ხუთოსანთა ჯგუფს. ისინი მიდიან ანძასთან. გაისმის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. ალამმა ანძის კენწეროს მიაღწია. ფიცკაცური ნაბიჯით დაიძრა კოლონა და საზეიმო მარშით ჩამოუარა ტრიბუნებს...

დაიწყო შეჯიბრება რბენაში. ნადია ხნიკინამ სტარტი ვერ აიღო კარგად, ამიტომ ჩამორჩა კიდეც. წინ თბილისელი მერი ქოჩლაძე მირბოდა, მაგრამ 50-ე მეტრზე სურათი შეიცვალა, ხნიკინამ მოიკრიბა ძალა, გაასწრო წინ წასულ მოწინააღმდეგეებს და 70-ე მეტრზე უკვე მარტო მირბოდა ფინიშისაკენ. აი, მიაღწია კიდეც ფინიშს, გაარღვია ლენტი. ხნიკინამ გაიმარჯვა. განიმეორა გასულ წელს მის მიერვე დამყარებული სსრ კავშირის რეკორდი (უმცროსი ასაკის გოგონებისათვის) 100 მეტრზე რბენაში. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ქოჩლაძე, მესამეზე — სოხუმელი ა. გაბელია.



ტანვარჯიშში გამარჯვებული ალექსანდრა ლელუაშვილი.

ბირთვის კვრაში შეჯიბრებაზე თბილისელმა ნ. დევდარიანმა გაიმარჯვა.

აი, სარბენ ბილიკზე გამოდიან 100 მეტრზე რბენის მონაწილე ჭაბუკები. მათ სტარტის ხაზზე საბჯენები ჩასვეს, სარბენი ფეხსაცმელები ჩაიცვეს და მოემზადნენ. პირველ ბილიკზე იდგა 16 წლის მურზაყან გეგეშიძე. ეს ახალგაზრდა სულ სამი თვეა ვარჯიშობს მწვრთნელ ბ. ტახტაროვთან და შესანიშნავ შედეგებს მიაღწია 100 მეტრზე რბენაში. ახლა ეს დამწყები სპრინტერი გულდამშვიდებით გასცქერის სარბენ ბილიკს, ელის ნიშანს. მისი მთავარი მეტოქე არის კ. აზატოვი, რომელიც მე-6 ბილიკზე დგას. ამ ორს შორის უნდა გაიმართოს გადამწყვეტი ბრძოლა. მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც კი მისცეს ნიშანი, გეგეშიძე დაწინაურდა. იგი ენერგიულად მიარღვევდა ჰაერს. გრძელი ნაბიჯები, ხელების რიტმული მოძრაობა თანდათან ამოკლებდა მანძილს ფინიშამდე. შუა მანძილზე ყველასათვის მოულოდნელად ბათუმელი ა. საყვარელიძე დაწინაურდა, მან გაუსწრო აზატოვს, დაეწია კიდეც წინ წასულ გეგეშიძეს, მაგრამ, ბოლოს მანძილი ყველაზე ადრე მაინც მურზაყან გეგეშიძემ დაჰფარა. მან გაიმეორა საკავშირო რეკორდი (უმცროსი ასაკის სპორტსმენებისათვის) 100 მეტრზე რბენაში.

შემდეგ დღეებში შეჯიბრება მძლეოსნობაში კიდევ უფრო გაცხოველდა. ყოველი რაიონისა და ქალაქის მოსწავლე სპორტსმენები თავგამოდებული იბრძოდნენ საპატიო ადგილის დასაკავებლად, ახალი რესპუბლიკური და საკავშირო რეკორდების დასამყარებლად. მურზაყან გეგეშიძემ კიდევ ერთხელ გვასახელა — ეს იყო 200 მეტრზე რბენაში. გეგეშიძემ კვლავ საკავშირო რეკორდი გაიმეორა.

რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს თბილისელმა მძლეოსნებმა: მერი ქოჩლაძემ (თარჯრბენი 80 მეტრზე), ვ. კუროპატკინმა (სიგრძეზე ხტომა), ნ. დევდარიანმა (ბადროს ტყორცნა), სტალინირელმა ა. ძაგოევმა (ხელყუმბარის ტყორცნა) და ს. კლიმერტიევმა (სპორტული სიარული). თბილისელი გოგონებისა და ჭაბუკების გუნდებმა ახალი რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს ამანათრბენში.

თბილისის ფიზკულტურის პარკის ამწვანებული ხეივნები დილიდანვე ახმიანდა. საცურაო აუზის ანკარა წყალი მცხუნვარე მზის სხივებზე ლივლივებდა. აუზი დასერილი იყო ბილიკებად. იარუსები სავსე იყო ახალგაზრდებით. სახტომ კოშკზე შეჯიბრების დაწყების ალამი იყო აღმართული. აი, გამოდიან მონაწილეები. მზით გარუჯული, კუნთმაგარი ბიჭუნები და გოგონები აუზის ჯებირის ირგვლივ მოეწყვნენ. დაიწყო წარმტაცი ასპარეზობა.

ოთხი გოგონა გამოვიდა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში შესაჯიბრებლად. „წინ!"—გაისმა განკარგულება და ისინიც ჩახტნენ წყალში. მკერდით მიარღვევდნენ გოგონები წყალს. წინ მიიწევდნენ გამარჯვებისაკენ. თბილისელი ნ. ჩიტოშვილი და სოხუმელი რ. მიშულინა დაწინაურდნენ. მხარდამხარ მისცურავდნენ. შემდეგ ხან ერთი იყო წინ და ხან მეორე. აი, ფინიშიც. მიშულინა ერთი წამით ადრე შეეხო ჯებირს და გამარჯვებაც მას ჩაეთვალა.

ჭაბუკებიდან ამავე მანძილზე თბილისელები ვ. დოლიძე, კ. ბიკეიჩენკო და სოხუმელი გ. გაბელია იბრძოდნენ. აქაც ცურვა მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა. ღონიერი მკლავებით მიაპობდნენ ისინი წყალს. გამარჯვება დოლიძეს დარჩა. მან ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

დაიწყო ზურგზე ცურვა. 5 ჭაბუკი გადაეშვა წყალში. დაწინაურდნენ მოსწავლე ნ. გვახარია (თბილისი) და ვ. ლავრუნენკო (აფხაზეთი). გაიმართა ორთა ბრძოლა, რომელიც გვახარიას გამარჯვებით დამთავრდა. მან მანძილი 1 წუთსა და 24,1წამში გასცურა, რაც 1940 წელს დამყარებულ ბათუმელ გ. სვეტილკოს რესპუბლიკურ რეკორდს აღემატება.

— იწყება კომბინირებული ამანათცურვა გოგონებისათვის! — გამოაცხადა დიქტორმა. გოგონებს პირველი ასი მეტრი ბრასით უნდა გაეცურა, მეორე ასი — ზურგზე, მესამე კი თავისუფალი სტილით.

ხუთი დღის შეჯიბრების შედეგად პირველი ადგილი აფხაზეთის მოცურავეთა გუნდმა მოიპოვა. რესპუბლიკის ნორჩმა მოცურავეებმა 18 ახალი რეკორდი დაამყარეს.

ტანვარჯიშში დიდი წარმატება ხვდა თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეს ზ. თავართქილაძეს, მან ყველა ვარჯიში ზუსტად შეასრულა და ჩემპიონის სახელი დაიმსახურა (უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის). გოგონებში ეს საპატიო სახელი ა. ლელუაშვილმა და მ. კესოევამ გაინაწილეს.

კარგი წარმატება ხვდათ აგრეთვე დუშეთის რაიონის ტანმოვარჯიშეებს, რომლებმაც მესამე თანრიგში პირველი ადგილი დაიკავეს.

16 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონის სახელს კალათბურთში კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე. ხუთი დღის დაძაბულმა ბრძოლამ თბილისის ვაჟთა და ქალთა გუნდებს მოუტანა გამარჯვება. განსაკუთრებით თავი ისახელა დედაქალაქის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონია. გუნდმა ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგო.

პარალელურად მიმდინარეობდა შეჯიბრება საქართველოს პირად პირველობაზე ჩოგბურთში და საქართველოს თასის გათამაშებაზე ფეხბურთში. ჩოგბურთში გამარჯვებული გამოვიდა ხუთოსანი მოსწავლე რ. ფანცხავა (თბილისი).

დაძაბულად, დიდი ინტერესით ჩატარდა შეჯიბრებები ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჩოგბურთში, რის შემდეგ შესდგა გამარჯვებულთა ზეიმი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. დაესწრნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. რომელაშვილი, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ფარულავა, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი მ. მევრელიშვილი. სპარტაკიადაზე საერთო პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის ნორჩმა სპორტსმენებმა, მეორე — აფხაზეთის, მესამე — ქუთაისის ნორჩმა სპორტსმენებმა.

განათლების მინისტრმა ვ. კუპრაძემ სპარტაკიადის გარდამავალი დროშა გადასცა თბილისელ სპორტსმენთა წარმომადგენელს. დედაქალაქის მძლეოსნებს გადაეცა აგრეთვე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" გარდამავალი ჯილდო — ვერცხლის თასი; სიგელები და საჩუქრები დაურიგდათ რეკორდსმენებს, ჩემპიონებს, მათს მწვრთნელებს.

**გ. აგიაშვილი**



ზ. თავართქილაძე ვარჯიშობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა




**მარგარიტა ამირეჯიბი** — მოთხრობა — ნახ. გ. ჩირინაშვილისა

რუმინეთის ერთ ზღვისპირა ქალაქში, ვიწრო ქუჩაზე დგას ორსართულიანი სახლი. მის ქვედა სართულში მოთავსებულია ძველებური ნივთების სავაჭრო „ანტიკვარი". მისი პატრონი, მოხუცი ჯუზეპე ბალბი, ვიოლინოზე გამოჩენილი დამკვრელი იყო. უკრავდა ერთ-ერთ ორკესტრში. ომის წლებში ამ ორკესტრს რამდენიმე მუსიკალური საღამო უნდა გაემართა ჯარის ნაწილებში. ბალბიმ უარი განაცხადა ამ საღამოებში მონაწილეობის მიღებაზე. გასამართლებელ მიზეზად ასახელებდა: — ხანში შესული ვარ და ჯარის ნაწილებში სიარულს ვერ შევძლებო. მაგრამ ნამდვილი მიზეზი სულ სხვა იყო: ბალბის არ უხდოდა იმ ჯარის ნაწილების დასატკბობად და გასამხნევებლად დაეკრა თავისი ვიოლინო, რომელთაც გერმანელი და რუმინელი ფაშისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აბრძოლებდნენ.

ერთ ღამეს ბალბის თავს დაესხა ბინაზე სამი უცნობი. მათ პირზე ნიღბები ჰქონდათ გაკეთებული. უცნობებმა ბალბი იატაკზე დააგდეს და ხელკეტებით სცემეს. ამ ცემის დროს საბრალო მუსიკოსს მარცხენა ხელის თითები სულ დაემსხვრა.

— ურჩო მუსიკოსო, მიხვდები რატომ გცემეს. აწ მაინც ისწავლი ჭკუასო, — ბოროტი ხმით თქვეს უცნობებმა და ღამის სიბნელეში მიიმალნენ.

ბალბი ყველაფერს მიხვდა, თუ ვისგან იყვნენ მოგზავნილი თავდამსხმელები, მაგრამ უარესის მოლოდინის შიშით საქვეყნოდ არაფერი უთქვამს.

ბევრი იმკურნალა საბრალო მუსიკოსმა. ბოლოს თითქმის განიკურნა. მაგრამ თითების ამოძრავება მაინც ვერ შესძლო. ცივ ამინდში ხელის ტკივილიც აწუხებდა. დაღონდა ჯუზეპე ბალბი. ხედავდა თავის საყვარელ მუსიკისათვის თავი უნდა მიენებებინა, — უძრავი თითებით ვიოლინოზე დაკვრა არ შეეძლო. ბევრი ნაღვლიანი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა დაეწყო ძველებური ნივთებით ვაჭრობა. თავისივე მშობლიურ ქალაქში დიდი დარაბა დაიქირავა და სავაჭრო მოაწყო. კონცერტებიდან დაგროვილი ფულით ყოველგვარი ძველებური ნივთი შეიძინა და შეუდგა ვაჭრობას.

მუყაითად მოჰკიდა საქმეს ხელი. დროგამოშვებით კეტავდა მაღაზიას და სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობდა. იძენდა ძველებურ ავეჯს, ფაიფურის ჭურჭელს, იარაღსა და დასაკრავ ინსტრუმენტებს. სხვათა შორის მან შეიძინა შესანიშნავად შენახული ერთი ვიოლინოც. მისმა მოყვანილობამ, საუცხოო ხემ და საღებავმა გააოცა ბალბი. სჩანდა, რომ ვიოლინო მეტად დახელოვნებული ოსტატის მიერ იყო გაკეთებული.

ბალბი ხშირად იჯდა დაღონებული თავის სავარძელში და შესცქეროდა ვიოლინოს. გული სტკიოდა, რომ აღარ შეეძლო ამ ინსტრუმენტზე დაკვრა. ბოლოს ჩადო იგი ხის ფუტლიარში და ფანჯარაში გამოდგა გასასყიდად. ბევრი მყიდველი აღმოჩნდა, მაგრამ ბალბი ისე ძვირად აფასებდა ვიოლინოს, რომ მყიდველები მხრებს იწევდნენ გაკვირვების ნიშნად და მიდიოდნენ.

ერთხელ ორი გერმანელი შევიდა მასთან და გულით უნდოდათ ვიოლინოს შეძენა. ეტყობოდა, მათ ბევრი ფული ჰქონდათ და ფასზედ უკან არ დაიხევდნენ, მაგრამ ბალბის ისე შეეზიზღა მათი გულზვიადი გამოხე-

დვა და უხეში მიხრა-მოხრა, რომ მკვახედ უთხრა მათ:

— ვიოლინო გაყიდულია!

არ გაუვლია დიდ დროს. ფანჯრის წინ ორი მანდილოსანი გაჩერდა. ბალბი ისე იჯდა თავის სავარძელში, რომ კარგათ შეეძლო მათთვის თვალყურის დევნება, ხოლო ქალებს კი არ შეეძლოთ დახახვა. ერთი მათგანი იყო ხანშიშესული, სადათ ჩაცმული, შეიძლება ითქვას ღარიბულადაც კი. მეორე ქალიშვილი იყო, შეხედულებით 16-17 წლისა, შუატანის, ლამაზი სახის გოგონა; მასაც ღარიბულად ეცვა. გოგონა თვალს ვერ აშორებდა ვიოლინოს და სიამოვნებით მთელი სახე უბრწყინავდა. დროგამოშვებით მიუბრუნდებოდა გვერდზე მდგომ ხანშიშესულ ქალს და რაღაცას ეუბნებოდა, მერე ისევ ვიოლინოს შეხედავდა.

— ეს უთუოთ მსახიობია, — ფიქრობდა ბალბი. მაგრამ მსახიობი ასე დიდხანს არ გაჩერდება ვიოლინოს დასასთვალიერებლად... მაგას უთუოდ ესმის და უყვარს ის!

მოხუცს თანაგრძნობით გული აუძგერდა და გადაწყვიტა მაღაზიაში ქალიშვილის შეწვევა. სწრაფად წამოდგა, გარეთ გავიდა და ,ზრდილობიანად მიესალმა მანდილოსნებს.

— თქვენ, მგონი, ძალიან მოგწონთ ჩემი ვიოლინო! — უთხრა ბალბიმ გოგონას.

— დიახ, ძალიან, ძალიან, — დარცხვენით უპასუხა ქალიშვილმა და კვლავ ვიოლინოს გადახედა.

— თქვენ, რასაკვირველია, უკრავთ ვიოლინოზე! გთხოვთ მაღაზიაში შემობრძანდეთ და დაუკრათ.

— ის ძალიან ძვირი ეღირება, ჩვენ კი



საშუალება არა გვაქვს შევიძინოთ და ტყუილად თქვენი შეწუხება არ გვინდა. — უხერხულად წაიჩურჩულა ქალიშვილმა.

ბალბი არ მოეშვა, აუხსნა ქალიშვილს, რომ თვითონ მსახიობი იყო, სანამ ხელს დაჰკარგავდა და მოხარული იქნება, მოისმინოს მისი დაკვრა.

ქალიშვილი დათანხმდა. მანდილოსნები მაღაზიაში შევიდნენ. ბალბიმ ფრთხილად მისწი-მოსწია. ფანჯარაში გამოფენილი ნივთები, ვიოლინო გამოიღო და ქალიშვილს მიაწოდა.

ქალიშვილმა, როგორც მცოდნემ, ქვევიდან დაავლო ხელი ვიოლინოს, თავი უკან გადახარა და დაუწყო სიყვარულით თვალიერება. შეუდგა აწყობას, თან ბალბის პასუხს აძლევდა სხვადასხვა კითხვებზე.

ბალბიმ გაიგო, რომ ქალიშვილი მსახიობია და თავისი პირველი კონცერტის გამართვას ამ ქალაქში აპირებს, ხანშიშესული ქალი მისი დედაა და რომ მეტად ღარიბები არიან.

ქალიშვილმა ვიოლინო მომართა. მტკიცე ხელით ნოტები აიღო და მალე ვიოლინოს მომხიბვლელმა ბგერებმა მაღაზიის სივრცე აავსო. დაიზრიალეს ფანჯრებმა. ბგერების მთელი ზღვა ეხებოდა კედლებს, ზღვა, რომელშიაც იღუპებოდა გემები, მის გაცოფებულ ტალღებში ისმოდა განწირულ ადამიანთა კივილი... ხან ღმუოდა ქარბუქი... ხან აურაცხელი ვერცხლის ზარები ჟღერდნენ სიყვარულსა და მეგობრობაზე.

ბალბი უსმენდა მთელი გატაცებით, მასში მუსიკოსი იღვიძებდა, ახალგაზრდავდებოდა. მისი ბეჭებიდან თითქო წლები სცვივოდნენ... და ბალბი თავისთავს ხედავდა აუარებელ მსმენელთა შორის მქუხარე ტაშით დაჯილდოებულს. ქალიშვილი კი განაგრძობდა დაკვრას... ძველ მუსიკოსს მოეჩვენა, რომ მთელი სავაჭრო გაივსო მსმენელებით.

ქალიშვილის ხელში კი ვიოლინო უფრო-დაუფრო გულის დამატყვევებლად წკრიალებდა.

როდესაც უკანასკნელი ბგერა გაისმა და ქალიშვილი სავარძელში ჩაჯდა... ლანდები გაჰქრნენ. მაისის მზის შუქი ფანჯარაში ფაიფურზე თამაშობდა.

დიდხანს ვერ მოვიდა ბალბი გონზე, დიდხანს იდგა ერთ ადგილზე გაუნძრევლად. ბოლოს გამოერკვა და უნდოდა ქალიშვილისათვის გულითადი მადლობა გადაეხადა, იმ სიამოვნებისათვის, რაც მან განაცდევინა თავისი არაჩვეულებრივი დაკვრით. მაგრამ ბალბიმ მხოლოდ ორი სიტყვის წარმოთქმა შესძლო:

— ვიოლინო თქვენია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოგზაურობის ისტორიიდან

## მძიმე მდგომარეობა

გამოჩენილი რუსი მოგზაური ნიკოლოზ მიხეილის-ძე პრჟევალსკი მეტად დაკვირვებული ნატურალისტი იყო. თავის დღიურებში იგი დაწვრილებით იწერდა ყველაფერ საინტერესოს, რასაც კი გზად შეხვდებოდა.

პრჟევალსკი დღიურებს აწარმოებდა ყველგან. ერთხელ, ცენტრალური აზიის მთიანეთში, იგი ჩავარდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. დღისით მას არ შეეძლო წერა იმიტომ, რომ საშინელი სიცხეებისაგან მელანი სწრაფად აშრებოდა კალამს, ხოლო ღამით იყინებოდა, ვიდრე პრჟევალსკი კალამს ქაღალდთან მიიტანდა.



ამ უცნაური და პირველი შეხედვით გაუგებარი მოვლენის ახსნას იძლევა გეოგრაფიის ჩვეულებრივი სასკოლო სახელმძღვანელო, მეხუთე კლასისა. იქ, განყოფილებაში, რომელიც კლიმატს ეხება, ნათქვამია, რომ ტემპერატურის სადღეღამისო და წლიური ცვლილებანი კარგად შესამჩნევია ზღვის ნაპირებიდან დაშორებულ ქვეყნებში. განსაკუთრებით მკვეთრად მერყეობს ტემპერატურა მთებში. დღისით იქ მზის სხივები ახურებენ კლდეებს, ხოლო გახურებული ჰაერი ღამით ვერ ინარჩუნებს სითბოს.

ასეთ კლიმატურ პირობებში ჩავარდა ნიკოლოზ მიხეილის-ძე პრჟევალსკი ცენტრალური აზიის მთებში მოგზაურობისას.

---

## კომკავშირის სახელობის არქტიკული კუნძული

1878 წელს ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში მცურავმა მეზღვაურებმა ნახეს იხვების გუნდი, რომელიც მიფრინავდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მეზღვაურებმა დაასკვნეს, რომ სადღაც ჩრდილოეთით ოკეანეში იმყოფება უცნობი მიწა. მათი ნაფიქრი კიდეც გამართლდა — ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ რუსეთის ჰიდროგრაფიულმა ექსპედიციამ ვილკიცკის მეთაურობით ამ ადგილებში აღმოაჩინა დიდი არქიპელაგი, რომელსაც ჩრდილოეთის მიწა ეწოდა.




დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ამ არქიპელაგის კუნძულები შეუსწავლელი.

1928 წელს იტალიელმა ნობილემ გადასწყვიტა გამოეკვლია ეს მიწა, მაგრამ დირიჟაბლ „იტალიით" გაფრენის დროს მან ვერ ნახა ეს კუნძულები. დაირხა ხმები, თითქოს ჩრდილოეთის მიწა სულაც არ არსებულიყო.

მაგრამ 1930 წელს მამაცმა საბჭოთა მკვლევარებმა გ. ა. უშაკოვმა და ნ. ნ. ურვანცევმა მოაწყეს ექსპედიცია საიდუმლოებით მოცული მიწის გამოსაკვლევად. საბჭოთა მკვლევარებმა ძაღლის მარხილებით შემოიარეს არქიპელაგის რამდენიმე კუნძული, შეიტანეს ეს კუნძულები რუკაზე, შეისწავლეს მთები და მყინვარები.

ასე გაჩნდნენ რუკაზე ახალი მთები, კონცხები, კუნძულები და სრუტეები, რომელთაც ეწოდათ სტალინის, მოლოტოვის, წითელი არმიის სახელები. ჩრდილოეთის მიწის ყველაზე ჩრდილოეთ კუნძულს უწოდეს კომკავშირელი.

ეს სახელწოდება მას სამართლიანად შეარქვეს, — მრავალი მეტეოროლოგი, რადისტი, გეოგრაფი, რომლებიც იკვლევდნენ საბჭოთა არქტიკას, იყვნენ კომკავშირელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოღო ანოფელესი



### ექიმის საუბარი

იცით თუ არა თქვენ, ბავშვებო, რომ არიან მონადირე და ადამიანისათვის მეტად სასარგებლო თევზები?

— მონადირე თევზები? — იკითხავთ თქვენ.

დიახ, მონადირე. ამ თევზებს გამბუზიები ეწოდება და კოღოების კვერცხებზე ნადირობენ. ეს მოუსვენარი ღორმუცელები ძალიან კარგად ეგუებიან ყოველგვარ დამდგარ წყალს, ჭაობებს და ხელოვნურ წყალსაცავებს. ასეთი დამდგარი ან ნელამოძრავი წყლები კი ის ადგილებია, სადაც ციებ-ცხელების ანუ მალარიის ერთადერთი გადამტანი და გამავრცელებელი კოღო ანოფელესი კვერცხებს სდებს და მრავლდება. გამბუზია ანოფელესის კვერცხებს და მატლებს მუსრს ავლებს.

თქვენ კოღო ანოფელესი ან მისი კვერცხები და მატლები გინახავთ როდისმე?

თავკომბალებს ჰგვანან ანოფელესის პატარა მატლები, რომლებიც 2-3 კვირის შემდეგ ჭუპრებად ანუ ბოჟღებად გადაიქცევიან, ამის შემდეგ კიდევ 2-3 დღე რომ გავა, ჭუპრის გარეკანი გასკდება და იქიდან პაწაწკინტელა კოღო ამოვა. იგი ცოტა ხანს ჭუპრის ქერქზე დაცურავს, თითქოს ნავში იჯდეს, მერე კი მზეზე ფრთებს გაიშრობს, გაისწორებს, წყლის ზედაპირიდან აფრინდება და მაშინვე ადამიანთა საცხოვრებელი ბინებისაკენ მიფრინავს. მამალი კოღოები ადამიანს არა ჰკბენენ, ისინი მხოლოდ მცენარეების წვენით იკვებებიან და მალე იხოცებიან. დედაკოღოები კი განაყოფიერების შემდეგ ადამიანის სისხლს გამაგებით დაეძებენ. ერთი ზაფხულის განმავლობაში ერთ დედაკოღოს რამდენჯერმე შეუძლია განაყოფიერდეს და ერთ მილიონამდე კოღო წარმოშვას.

წინათ ზოგი ფიქრობდა ციებას კიტრის, ნესვის ან ჭერამის ჭამის შემდეგ წყლის სმა იწვევსო. მარტო ჩვენში კი არა, ძველად ყველგან ასე ფიქრობდნენ. აი მაგალითად, იტალიაში, იმ ქვეყანაში, სადაც მალარია ყველაზე გავრცელებული იყო, ისე ეგონათ, რომ მალარიას ჭაობიდან ამოთქლებული დახაშმული, წამხდარი ჰაერი იწვევსო, ამიტომ ციებ-ცხელებას მალარია უწოდეს, რაც მათ ენაზე სწორედ დახაშმულ-წამხდარ ჰაერს ნიშნავს. მალარიის ნამდვილი მიზეზი კი პირველად 1880 წელს მეცნიერმა ლავერანმა მალარიით დაავადებული ადამიანის სისხლის წითელ ბურთულებში აღმოაჩინა და და მალარიის პარაზიტები ანუ მალარიის პლაზმოდიები უწოდა. ეს პარაზიტები მალარიით შეპყრობილი ადამიანის ორგანიზმიდან ჯანმრთელ ადამიანის ორგანიზმში კოღო ანოფელესს გადააქვს.

როცა კოღო ანოფელესი მალარიით დაავადებულ ადამიანს კბენს და სისხლს სწუწნის, მაშინ კოღოს ორგანიზმში ამ სისხლთან ერთად მალარიის პლაზმოდიებიც გადადის. კოღოს ორგანიზმში მალარიის პლაზმოდიები მწიფდებიან, შეუღლდებიან და გამრავლების შემდეგ კოღოს ნერწყვშიც ხვდებიან. ასეთმა კოღომ თუ ჯანმრთელ ადამიანს უკბინა, თავის ნერწყვთან ერთად ადამიანის სისხლში მალარიის პლაზმოდიებსაც შეიტანს. ჯანმრთელ ორგანიზმში შეჭრილი მალარიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლაზმოდიები მაშინვე სისხლის წითელ ბურთულებში შეიჭრებიან, ამ ბურთულებს თავიანთ საკვებად იყენებენ, შლიან, ანადგურებენ. თვითონ კი ძალიან სწრაფად მრავლდებიან და ყოველი 48 ან 72 საათის შემდეგ ახალ თაობას წარმოშობენ. ამ პარაზიტთა ყოველი ახლადწარმოშობილი თაობაც მაშინვე სისხლის დაუზიანებელ, წითელ ბურთულებს ესხმიან თავს. ყოველი ასეთი ახალი თავდასხმის დროს ადამიანს მალარიის შეტევა აქვს.

საქართველოში გავრცელებული ანოფელესი ჭრელფრთიანია, ფრთებზე შავი წერტილები აქვს და ადვილი საცნობია. ანოფელესი ერთადერთი კოღოა, რომელსაც კედელზე ჯდომის დროს ტანის უკანა ნაწილი ძალიან მაღლა აქვს აწეული, ჭერზე ჯდომის დროს კი ჭერს მხოლოდ წინა თათებით ეკვრის და ჩამოკიდებულია. ყველა სხვა კოღო კი ჯდომის დროს კედელსაც და ჭერსაც მთელი ტანით ეკვრის.

თუ მალარიის მკურნალობა მის გამოჩენისთანავე დავიწყეთ, ადვილად რჩება. მალარიის განსაკურნავად უებარი წამალია ქინაქინა, რადგან იგი ადამიანის ორგანიზმში მალარიის პლაზმოდიებს ხოცავს. პირველად სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ იქაური ერთ-ერთი ხის ქერქი, რომელსაც ძალიან მწარე გემო აქვს, მალარიით შეპყრობილ ადამიანს კურნავდა, თუ ავადმყოფი ამ ხის გამხმარ და დაფხვნილ ქერქს რამდენჯერმე მიიღებდა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ესპანელებმა ამერიკის ეს ნაწილი დაიპყრეს. დაპყრობილი ქვეყნის სანახავად ესპანეთის გრაფის ასული, უმშვენიერესი ცინხონაც ჩავიდა. ცინხონა იქ მალარიით მძიმე ავად გახდა. მის განსაკურნავად ამ ხის მწარე ქერქი იხმარეს და განკურნეს კიდეც. ამის შემდეგ, დაახლოებით 1640 წლიდან, ეს წამალი მთელს ქვეყანაზე გავრცელდა. იმ ესპანელი გრაფის ასულის პატივსაცემად მას ცინხონა ეწოდა. ამ სახელი-



გამბუზიები



მარცხნივ ჩვეულებრივი კოღო, მარჯვნივ ანოფელესი.

დან არის წარმომდგარი ზოგ ენაზე ხინა, ქართულზე კი ქინაქინა.

უკანასკნელ წლებამდე ქინაქინა მალარიის განმკურნავი ერთადერთი საშუალება იყო. დღეს კი საბჭოთა ქვეყნის მეცნიერებმა მალარიის სამკურნალოდ ორი ქიმიური შენაერთი: აკრიხინი და პლაზმოციდი შექმნეს, რომლებსაც სწორედ ისეთი სამკურნალო თვისება აქვთ, როგორიც ქინაქინას.

როგორც საქართველოს ისტორიიდან სჩანს, მალარია საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული და ძალიან დიდ ზიანსაც აყენებდა ჩვენს ქვეყანას. ამიტომ პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს იღებენ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად და მალარიის მოსასპობად. საქართველოში მალარიის საწინააღმდეგო მებრძოლი მრავალი სპეციალური სამედიცინო დაწესებულებაა.

თუ გინდათ მალარიით ავად არ გახდეთ, თქვენ სოფელში მალარიის გადამტანი კოღო ანოფელესი უნდა მოსპოთ.

თუ ჩვენ ჩვენი სოფლის მახლობლად ყველა ჭაობს მიწით ან ხრეშით ამოვავსებთ, ყოველგვარ სხვა სახის დამდგარ წყლებს, საწრეტ არხებს გავუკეთებთ, ხელოვნურ წყალსაცავებს კი დოლბანდით, მავთულბადით ან კარგად მორგებული სახურავით ისე შევინახავთ, რომ იქ კოღო ვეღარ შეიძრინდოს და კვერცხები ვერ დადოს, მალარიის ერთადერთი გადამტან ამ კოღოსაც გამრავლების საშუალება მოესპობა. იმ წყლებს კი, სადაც ანოფელესის კვერცხები უკვე არის, ზევიდან ნავთი უნდა მოვასხათ, რადგან ნავთის აპკის ქვეშ ეს კვერცხები იღუპებიან, კარგია ასეთ წყლებში მოვამრავლოთ გამბუზიები.

ექიმი იოსებ ქურჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ახალი ალბანეთის ბავშვები

დახედეთ ევროპის რუკას — ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში თქვენ ნახავთ პატარა ქვეყანას წარწერით — ალბანეთი.

ალბანეთი მთაგორიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორია 27,5 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის, მოსახლეობა მილიონზე ცოტა მეტია.

თავისუფლად სუნთქავენ მშრომელთა ბავშვები დემოკრატიულ ალბანეთში. ისინი მართლაც ღირსეულად ატარებენ მათი უფროსი თაობის გმირულ ტრადიციებს. ჯერ კიდევ ომის მძვინვარე წლებში ალბანელმა ბავშვებმა ბევრი რამ გააკეთეს თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის. 1942 წელს ჩამოყალიბდა ალბანეთის პიონერთა პირველი რაზმი. ეს იყო 10 თებერვალს, როცა 10-13 წლის ბავშვთა ერთმა ჯგუფმა ქალაქ ტირანას ახლოს, პარტიზანთა ჩვეულებისამებრ ასწია რა მუშტები მაღლა, ფიცი დასდო — მამაცურად ამოდგომოდა მხარში უფროსებს და დახმარებოდა მათ ფაშისტებთან ბრძოლაში. ტირანელ პიონერებს მიბაძეს სხვა ქალაქების ბავშვებმა და მალე შეიქმნა ალბანეთის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი პიონერთა ორგანიზაცია. მართლაც დიდი წვლილი შეიტანეს მამაცმა ბავშვებმა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო საქმეში. ბავშვებს მთებში ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლებთან მიჰქონდათ ვაზნები, საბრძოლო იარაღები, პროდუქტები. პარტიზანებს აწვდიდნენ ცნობებს სოფლებში დაბანაკებულ ფაშისტთა შეიარაღებაზე და რაოდენობაზე. ადრევე აცნობებდნენ მებრძოლთ მოახლოებულ საშიშროებაზე, უვლიდნენ დაჭრილებს. ბევრი ბავშვი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მათ შორის 14 წლის კნაზიმ ალიმენტი — პირველი პიონერული რაზმების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ალბანეთის პიონერთა ორგანიზაცია დღეს 140 ათას პიონერს ითვლის. ეს პიონერები გაერთიანებული არიან რაზმებში, ასეულებსა და რგოლებში. რაზმსა და ასეულს პიონერების მიერვე არჩეული პიონერთა შტაბი მეთაურობს, ხოლო რგოლებს ცალკეული მეთაურები ჰყავნან.

ალბანელი პიონერები დიდ ბეჯითობას და გულმოდგინებას იჩენენ როგორც სწავლაში, ასევე ქვეყნის აღდგენითს სამუშაოებში. ბავშვებმა შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩააბარეს რკინის ბევრი ნამტვრევი. პიონერებმა მარტო ერთი ქალაქის — დურეს აღდგენისათვის 600 საათი იმუშავეს. პიონერთა ორგანიზაციებში სჩქეფს ხალისიანი საქმიანობა: ეწყობა ლიტერატურული საღამოები, ფიზკულტურულ-სპორტული შეჯიბრებები. ექსკურსიები, ბავშვები ამწვანებენ სკოლის ეზოებს, რგავენ მცენარეებს.

ალბანელ ბავშვებს, პიონერებს შთააგონებს საბჭოთა კავშირის ბავშვთა შემოქმედებითი, დაუღალავი შრომა მეცნიერების საფუძველთა დაუფლებისათვის.

— პირობას ვიძლევით ვისწავლოთ ისე, როგორც სწავლობენ საბჭოთა პიონერები! — ასეთია ალბანელ ბავშვთა მისწრაფება. მიბაძონ საბჭოთა ბავშვებს ბრძოლასა და შრომაში, წარჩინებულ სწავლაში, — აი მათი მტკიცე სიტყვა.

— ჩვენი ქვეყნები დაშორებულია ერთმანეთისაგან, — სწერენ ალბანელი პიონერები ქალაქ ბაქოს პიონერებს, — მაგრამ ჩვენი გულები ფეთქავენ თქვენს გულებთან ერთად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თქვენ, საბჭოთა ადამიანები, ჩვენი საუკეთესო მეგობრები ხართ. არცერთი ქვეყანა ისე არ იცავს ჩვენს ინტერესებს, როგორც ამას იცავს საბჭოთა კავშირი. ჩვენ ძლიერ მადლიერი ვართ ამის გამო ლენინ-სტალინის დიადი ქვეყნისა!

ასე ცხოვრობენ, სწავლობენ და იზრდებიან თავისუფალი, დემოკრატიული ალბანეთის ბავშვები.

ქ. ლოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერული სიმღერა

სიტყვები რევაზ მარგიანისა

მუსიკა ოთარ თაქთაქიშვილისა




მუსიკის სიტყვები იხილეთ 32-ე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერული სიმღერა

## სიტყვები მუსიკისათვის

(იხილე 31-ე გვერდი)

ბედნიერი ხალხის შვილებს
მშობლიური ზრუნვით გვზრდიან,
საბჭოეთის დიად ქვეყნის
ნორჩ ყვავილებს გვეძახიან.

ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს
და გამზრდელად მისი შვილი:
ლენინური კომკავშირი,
სტალინური კომკავშირი.

ღირსი ვიყოთ ჩვენი ხალხის,
ჩვენი ქვეყნის მთა და ველის,
ასე ფიქრობს საბჭოეთში
ყველა ნორჩი ლენინელი.

ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს
და გამზრდელად მისი შვილი:
ლენინური კომკავშირი,
სტალინური კომკავშირი.

**რევაზ მარგიანი**

---

# შინაარსი


| | გვ. |
|---|---|
| **გიორგი დიმიტროვი** (წერილი) | 1 |
| **ხ. ბერულავა** — მოსკოველი პიონერი (ლექსი) | 2 |
| **ვ. გორგანელი** — სოფლად (ლექსი) | 2 |
| **პ. ლორია** — ბანაკში გატარებული დღეები (მოთხრობა, დასასრული) | 3 |
| **შ. ფორელი** — ხალისიანად, შინაარსიანად (წერილი) | 8 |
| **გ. კაჭახიძე** — ჩვენი სკოლის ყმაწვილები (პოემა, ნახ. **ალ. გიგოლაშვილისა**). | 9 |
| **ი. მესხიშვილი**—ოქროსმედალოსნები (წერილი) | 17 |
| **პ. მორსკოი** — ღუზაზე უფრო მტკიცე (მოთხრობა—ქართულად გადმოკეთებული ლ. ხომერიკის მიერ). | 19 |
| გ. აგიაშვილი — სილამაზისა და მხნეობის დემონსტრაცია (ნარკვევი) | 23 |
| მ. ამირეჯიბი — ვიოლინო (მოთხრობა) | 25 |
| ი. ქურჩიშვილი — კოლო ანოფელესი (ექიმის საუბარი) | 29 |
| ქ. ლოლაძე — ახალი ალბანეთის ბავშვები (წერილი) | 30 |
| პიონერული სიმღერა — სიტყვები **რევაზ მარგიანისა**, მუსიკა **ოთარ თაქთაქიშვილისა** | 31-32 |
| დ. გედევანიშვილი — გემი და თევზი (წერილი) | **გარეკანის** მე-3 გვ. |
| გასართობი | **გარეკანის** მე-4 გვ. |
| გარეკანის პირველი გვერდის **მხატვრობა** შესრულებულია მხატვარ **შ. ცხადაძის** მიერ. | |


---


პასუხისმგებელი რედაქტორი გ. კაჭახიძე

პასუხისმგებელი მდივანი **ვ. თორდუა** სამხატვრო რედაქტორი **ა. გიგოლაშვილი**

სარედაქციო კოლეგია: **ე. აგლაძე, ლ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 05091 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეკვ. № 76 სტამბის შეკვ. № 877

**ლ. პ. ბერიას** სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას" ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გემი და თევზი

ერთხელ ზურაბი თავის ტოლებთან ერთად ქვიშაზე გაგორებული გაჰყურებდა ზღვას. მათ ახლდათ ზურაბის მამა — ნიკო. ზურაბმა თვალი მოჰკრა ჰორიზონტზე გემის საკვამლე მილს, რომელიც ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

— ეს გემი „უკრაინაა", დღეს მისი ჩამოსვლის დღეა, — თქვა ზურაბის მამამ.

— იცით, მამა ძლიერ გვაკვირვებს, ჩვენ, ბავშვებს, რომ ასეთი უზარმაზარი და მძიმე გემი, რომლის ქვედა ნაწილი რკინისაგანაა გაკეთებული, ზღვის ზედაპირზე დაცურავს და არ იძირება, ეს მაშინ, როდესაც პატარა კენჭი ან რკინის მსუბუქი ნატეხი ზღვის სიღრმეში უცებ იძირება!

— აქ არაფერია გასაკვირი. ამის მიზეზი ისაა, რომ გემს აქვს დიდი სიღრუე, რომელიც ჰაერითაა სავსე. ამის გამო მას უზარმაზარი მოცულობა აქვს და წონა კი შედარებით მცირე. ასე, რომ გემის მოცულობის წყალი გაცილებით მეტს იწონის, ვიდრე თვით გემი და ამიტომ არ იძირება, — აუხსნა ბავშვებს ნიკომ.

— ჰო, მართლა, ჩვენც ასე ვისწავლეთ. მავის მსგავსად არის მოწყობილი წყალქვეშა ნავი, რომელსაც ქვედა ნაწილში სიღრუე აქვს მოთავსებული, ამ სიღრუეში ჰაერია მოწყვდეული. როდესაც სიღრუეში წყალს შეუშვებენ, წყალქვეშა ნავი დამძიმდება და წყლის ქვედა ფენებში იძირება. თუ ისევ ზღვის ზედაპირზე უნდათ ამოსვლა, სიღრუიდან წყალს გამოდევნიან საგანგებოდ შეკუმშული ჰაერით და წყალქვეშა ნავიც ამოტივტივდება, — თქვა ზურაბმა, უფროსი კლასის მოსწავლემ. ნიკომ მოიწონა ზურაბის გონებამახვილობა.

ყმაწვილებს არც დაემთავრებინათ საუბარი, რომ ამ დროს წყლის ზედაპირზე, ჰაერში თევზი შეხტა, რომელმაც მათი ყურადღება მიიპყრო.

— რა იყო? — იკითხა ნუკრიმ.

— ოქროს თევზი! — სიცილით უპასუხა ზურაბმა.

ბავშვებმა მეტი ყურადღებით დაუწყეს ცქერა წყლის ზედაპირს, სადაც თევზები ჰაერში ხტებოდნენ და ჩავარდნის წერტილში კონცენტრულ ტალღებს ჰქმნიდნენ წყნარად მდგარ ზღვის ზედაპირზე.

— როგორ ხტებიან, ხომ არ იცი? — ჰკითხეს ზურაბს.

— როგორ არა, თევზს სხვა შინაგან ორგანოებთან ერთად ჰაერით სავსე ორი ბუშტი აქვს. ამ ბუშტებს, ფარფლებთან ერთად, ცურვის დროს იყენებს ჩასაყვინთად ან ზევით ამოსასვლელად. წყლის ზედაფენებში მაშინ ამოდის, როცა ბუშტებს ბერავს, ხოლო იძირება, როცა ბუშტს დაჩუტავს.

ამ დროს გემის საყვირის ხმა გაისმა და წელან ჰორიზონტზე ბუშტისოდენა რომ ჩანდა, ახლა უზარმაზარ ხუთსართულიან შენობასავით მოადგა ნავსადგურს.

პიონერებმა გემი გულდასმით დაათვალიერეს.

ზღვიდან დაბრუნებულმა ნუკრიმ ბევრი რამ ახალი შეიძინა ფიზიკაში.

ერთხელ მან დედას კვერცხი მოსთხოვა.

— მოგშივდა, შვილო? ახლავე მოგიხარშავ.

— კი არ მომშივდა. მარილი სადღაა შენახული? — იკითხა ნუკრიმ და თან ჩაის ჭიქა აიღო.

— ამ წუთში გავშლი სუფრას და ბავშვებსაც შემოვიყვან, გარედ რომ გიცდიან.

— არა, დედი, მეც მათთან უნდა გავიდე, კი არა გვშიან. შენც ძალიან გთხოვ მოიცალო და ნახო რას ვაკეთებთ.

ნუკრი მალე ბავშვებს შორის იდგა და სუფთა წყლიან ჭიქაში ჩაძირულ კვერცხს უჩვენებდა.

— ეს იმიტომ ჩაიძირა, რომ კვერცხისაგან გადანაცვლებული წყლის წონა მის წონაზე ნაკლებია, — უხსნიდა ნუკრი ბავშვებს. — მარილის გაზავებით კვერცხი ამოცურდება, ახლა კი კვერცხისა და მის მიერ გადანაცვლებული ხსნარის წონა გატოლდა. ბოლოს ბლომად მარილის გაზავებით კვერცხი ამოტივტივდა. ახლა კვერცხის მოცულობის წყალი გაცილებით მეტს იწონის, ვიდრე თვით კვერცხი.

ეს ცდები სხვებმაც გაიმეორეს და შემდეგ ხალისიანად შეუდგნენ გემის მაკეტის დამზადებას.

**დიმიტრი გედევანიშვილი**

ფასი 5 მან.

# ჯაბა და ჩიტები

ნახატები ან. კანდელაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. მაღალ ხესთან დამდგარა და
უთვალთვალებს კოხტა ბუდეს,
გულში ფიქრობს:—უნდა ვნახო
შიგ ჩიტუნებს თუ რა უდევს.



2. ფეხთ გაიძრო, მოემზადა
და აცოცდა ხეზე სწრაფად,
ჩიტუნები შეეხვეწნენ:
—ნუ წაგვართმევ შვილებს, ჯაბა.



3. მაგრამ ანცმა ბუდისაკენ
გზა განაგრძო, გაინაბა;
დაესივნენ ჩიტუნები
და დაჰკორტნეს ცელქი ჯაბა.



4. —ტკაც,-და უცბათ ტოტი მოტყდა
ჯაბა ქვევით დაექანა;
ჩიტუნებმა ჩამოსძახეს:
—ასე უნდა შენისთანას!